

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. აღრესი: თფილისი, ნიკოლოზ ქ. № 44.

მოგზაური

რედაქცია ღია ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამომს: 6 სათ. 7 საათამდე.

სოციალ-დემოკრატიული შუახალი

№ 41.

კვირსა, 20 ნოემბერი 1905 წლისა.

№ 41.

მოგაურის რედაქციისგან:

დღეიდან, ე. ი. 20 ნოემბრიდან, „მოგზაური“ იმ რედაქციით, რა რედაქციითაც იგი 1905 წლის 16 იანვრიდან (№ 2) გამოდიოდა—აღარ გამოვა.

იმ ხალის-მომხმრთ, რომელთაც გაზეთის ფული მომავალ 1906 წლის პირველ იანვრამდე აქვთ გადახდილი, „მოგზაურის“ ნაცვლათ აღნიშნულ ვადამდე, გამგზავნებათ ახალი პროვოდლიური გაზეთი „სხივი“, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა.

„მოგზაურის“ რედაქციას არ შეუძლია საყვედური არ გამოუცხადოს იმ პირთ, რომელთაც ხვედრი ფული აქამდის არ გადაუხდიათ. ამ პირებში ურევია ზოგიერთი აგენტებიც, რომლებმაც, ისარგებლეს რა რედაქციის ნდობით, ხელის მომწერთაგან ფული აიღეს. მაგრამ რედაქციას კი ეს ფული დღემდისაც არ მიუღია. ამიტომ რედაქცია კიდევ ერთხელ განმეორებით თხოვს ყველას ანგარიშის გასწორებას.

კვირსა, 20 ნოემბერს

მირაზმი (სათავად აზნაურო სკოლის შენობის მახლობლათ) გაიმართება

სახალხო მიტინგი

საგანი მიტინგისა: 1) უკანასკნელი ამბები და რევოლიუცია. 2) კავკასიის ეროვნებათა ავტონომია და სოციალ-დემოკრატია.

თფილისის შემზავლესეთა კომიტეტი. (კავკ. კავშ. რ. ს.-დ. მ. პარტი).

კვირსა, 20 ნოემბერს, დილის ათ საათზე

ნაძალადევი გაიმართება

სახალხო მიტინგი

გასარჩევი კითხვები:

- 1) მოძრაობა სალდათებში.
 - 2) კავშირების თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება.
 - 3) ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.
- თფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

შინაარსი: ჩვენ მკითხველებს.—რ. სოც.-დემ. მ. პ. მოგვალე კრების გამო—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთი.—უცხოეთი.—მეოთხე კრება რ. ს.-დ. მ. პარტიისა.—პარტიის რეორგანიზაციის შესახებ, ნ. ლენინისა.—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო.—ჯარის-კაცთა ცხოვრებიდან.—საგლეხო კავშირის დღევანდელი პირველი კრება მოსკოვში.—პირდაპირობა და ორკოფობა, ფ. მახარაძისა.—პარტიის ცხოვრებიდან.—კიდევ სომეხ-ნაციონალისტების შესახებ, ნერსეს მ.—ინცისა.—ღია წერილი, ფ. მახარაძისა.—წერილი ყვირილიდან, საყულიელისა. — გურულების სასარგებლოთ.—წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ მიითხველებს.

ამხანაგებო! „მოგზაურის“ დღევანდელი ნომერი (№ 41) არის უკანასკნელი, რომელიც ჩვენი რედაქციით გამოდის. დღეს ჩვენ ვეთხოვებით ჩვენ მკითხველებს, მუშა-პროლეტარებს, რათა ახლო მომავალში, უკრო ფართო ნიადაგზე და უფრო მომზადებული განვარდით ჩვენი მოღვაწეობა—ჩვენ ამხანაგ-მუშებთან ერთად, ვარკეთ პროლეტარიატის როლი და დანიშნულება იმ დიდ მოძრაობაში, რომელსაც დღეს განიცდის მთელი რუსეთის ხალხი.

ამ ათიოდე თვის წინეთ, როცა ჩვენ შევის მთავრობის მიერ დახურულ „კვალის“ ნაცვლათ საკუთარი ორგანოს გამოცემა ვიკისრეთ, მეტათ საწრუხარო იყო ჩვენი მდგომარეობა. ყველა ჩვენი ძალები ამავე მთავრობის აულაგამე თვითნებობის წყალობით დაქსაქსული და მიფანტულ-მოფანტული, ჩვენი პარტიის დაუზოგველი და შეუბრალდებელი დევნა, ახალ-ახალი სასტიკი რეპრესიური ზომები რევოლიუციონური პროლეტარიატის ძლევა-მოსილი მოძრაობის ჩასაქრობათ მიღებული განსაკუთრებით პეტერბურგში 9 იანვარს მომხდარ ამბების შემდეგ, მთავრობის ცენზურის რკინის და-რუკაი, რომელშიაც უნდა გამოველოთ თითოეულ ჩვენ სიტყვას, და ამავე დროს ნივთიერი უსახსრობაც და მრავალი სხვა და-შაბრკოლებელი გარემოებანი ჩვენ წინ გველოებოდენ, მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენდა მოულოდნელათ, ძლიერ იქნა იმდენათ ჩვენი საკუთარი ღონით არა, რამდენაააც ჩვენი მუღმივი მკითხველების, მუშა-ხალხის ნამდვილი თანაგრძნობით და დახმარებით. პირველ ნომრის გამოცვლისთანავე ჩვენ დაგრწმუნდით, თუ რა საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენდა ჩვენ შა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოს არსებობა იმ დამახინჯებულ სახითაც კი, როგორითაც ეს შესაძლებელი იყო თვითმპყრობელ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, უმთავრესი დაბრკოლება ჩვენთვის მთავრობის ცენზურა იყო*. აქ იდევნებოდა ყოველგვარი ცრუთა თუ ბევრათ ცოცხალი აზრი, იდევნებოდა არა მარტო აზრი, არამედ უბრალო სიტყვაც კი. ხშირათ ჩვენ თითონ ცხდებოდით ჩვენი აზრის, ჩვენივე ცოცხალი სიტყვის ჯალათი, მაგრამ მიუ-

* განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომ ბ. ვოლუმი ცენზორობას თავი გაანება.

ხელდავით ამისა, მიუხედავად ჩვენი შეხედულების „კონტრაბან-
დათ“ ვატარებთ, ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა
არა თუ ცალკე წერილები და სტატიები, არამედ მთელი
ნომრის მასალა, დასაბეჭდად გამოზიდული, საცენზურო კო-
მიტეტში რჩებოდა და პასუხით ცენზორების კბილების ღრქე-
ნა და მათი უკმები მუქარა იყო. უბედური იყო ეს დრო!
სამუდამო ზიზღი ყველა იმით, ვინც ამ უბედურებას ხელს
უწყობდა, ვინც მისი წყალობით ხელს ითბობდა!

რუსეთის მუშა ხალხმა, მებრძოლმა პროლეტარიატმა,
სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შეერთებულმა, სამუდა-
მით დასცა და დაამხო ის წესწყობილება, რომელსაც მეფის
თვითმპყრობელობა ერქვა და რომელიც ყველას კრიქას
უკრავდა და თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას არ აძლევდა.
რუსეთის პროლეტარიატმა თავგანწირული ბრძოლით მოგვი-
პოვა ჩვენ სიტყვის და წერის თავიუფლება. თავისუფალი
სიტყვა-ეს უძველესი და უძლიერესი იარაღი პროლეტა-
რიატის მიზნის განსახორციელებლათ, დღეს ჩვენ ხელთ გვიპყ-
რია. არავითარ ძალას არ შეუძლიან ჩვენ იგი ხელიდან გა-
მოგვგლიჯოს. დღეს ჩვენი პირდაპირი მომალეობაა ეს იარაღი
ღირსეულთა გამოვიყენოთ. დღევანდელ პირობებს აღარ შე-
ფერის კვირული გამოცემა: დღეს მუშაობა გაფართოვდა და
ამიტომ ყოველკვირულ ორგანოს მაკიერ, ყოველდღიური
ორგანო შეიქნა აუცილებელი საჭიროა. კავკასიის პროლეტა-
რიატი განცალკევებული არ არის, იგი მჭიდროდ, შეკავშირე-
ბულია არა თუ რუსეთის პროლეტარიატთან, არამედ ყველა
ქვეყნის პროლეტარიატთანაც. ყველა ქვეყნის, საერთაშორისო
პროლეტარიატის საბოლოო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი
გზა და საშუალება ერთი და იგივეა. კავკასიის პროლეტარია-
ტი საერთაშორისო პროლეტარიატის უნტროსი ძმა, მაგრამ,
მიუხედავად ამისა, მას ძლიერ მაღლა უჭირავს საერთაშორისო
პროლეტარიატის წითელი დროშა, — დიდებული დროშა
სოციალიზმისა! ჩვენი უმახლობლესი მიზანი და დანიშნუ-
ლება კავკასიის მუშა-ხალხის გამოუხიზლებლად, მაშინ შეგნების
შეტანა და მისი მტკიცე კავშირით შეერთება სოციალ-დემო-
კრატიული წითელი დროშის ქვეშ. გაუმარჯოს ამ დრო-
შას! გაუმარჯოს ამ დროშას ქვეშ მებრძოლ რუსეთის სო-
ციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

რ. სოც.-დემ. პარტიის მომავალ კრების (სიუზის) გამო.

ქვევით ჩვენ ვბეჭდავთ რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა
პარტიის ცენტ. კომიტეტის (უმრავლესობა) განცხადებას, რომ-
ლითაც იგი იწვევს რ. ს.-დ. პარტიის მეოთხე კრებას (სიუზს)
და ვბეჭდავთ აგრეთვე ამხანაგ ლენინის წერილის ამავე საგნის
შესახებ. როგორც ც. კ-ს განცხადება, ისე ლენინის წერილი
ნათელყოფს პარტიაში არსებულ უთანხმოების მოსაზრებას და
ორ ფრაქციას გაყოფილ პარტიის მიუცილებელ გაერთიანებას,
„პარტიის მეოთხე კრებას—კითხულობთ ჩვენ ც. კ. განცხადებაში—
ვიწვევთ მომწიფებული პოლიტიკური კითხვების გა-
დასაწყვეტად და უპირველეს ყოვლისა—პარტიის გაერთიანე-
ბის მოსახლენათ“. ამნიარათ ახლო მომავალში უნდა განხორ-
ციელდეს ყველა გულწრფელ და თავდადებულ მუშაკების
ნატვრა—შინაური განხეთქილების მოსაზრება და ორი ფრაქ-
ციის გაერთიანება. ეს ნატვრა დღეს აღარ არის განყენებული
ოცნების ნაყოფი. გაერთიანებას ჩვენ გვიკარხანებს თვით
სინამდვილე, ამას თხოულობს დღევანდელი პოლიტიკური
ვითარება. რუსეთის პროლეტარიატი რუსეთის რევოლუციის

მოწინავე რაზმია. დღემდის ყველა რევოლუციონური ჯგუ-
ფები თუ კლასები პოლიეტარიატს უკან მიხედვდნენ და ასე
იყო თუ ისე ბრძოლის დროს ზურგს უმაგრებდნენ, მაგრამ
პროლეტარიატის და დანარჩენ საზოგადოებრივ კლასების მი-
ზანი ერთი და იგივე ხომ არ არის, ლიბერალური და რადი-
კალური ბურჟუაზია მხოლოდ რევოლუციის განსახდრულ
საფეხურამდე მიყვებოდნენ პროლეტარიატს. პროლეტარიატის-
თვის კი დღევანდელი რევოლუცია მხოლოდ მაშინ დამ-
თავრდება, როცა რუსეთში დაფუძნდება დემოკრატიული
მართება-გამგეობა. პროლეტარიატის ძლიერ-მოსილმა მოძრაობამ
და მისმა პოლიტიკურმა გავლენამ საზოგადოების ჩამორჩენილ
ელემენტებში-ბურჟუაზიული პარტიები ძალზე დააფრთხო და
შეაშფოთა და ისინი კავშირებს და ორგანიზაციებს აწყობენ რე-
ვოლუციონური პროლეტარიატის მოძრაობის შესაჩერებლათ.
ამიტომ ისინი, აქამდის რევოლუციის მოკავშირენი, დღეს
უკვე რეაქციონური მთავრობის ბანაკში გადადიან და კონტრ-
რევოლუციის მოხდენას შეელიან.

რალა თქმა უნდა ასეთ დროს საჭიროა რუსეთის მე-
ბრძოლი პროლეტარიატის გაერთიანებული ძალა და ენერჯია
სულ მთლად ამ რეაქციონურ ელემენტებს, ყველა ბურჟუა-
ზიულ პარტიებს დაუპირდაპირდეს, როგორც ერთი განუყო-
ფელი პარტია. ამას გრძნობს დღეს პარტიის ორივე ფრაქციის
წარმომადგენლები, პარტიის ყველა წევრი. გარდა ამისა გა-
ერთიანების საქმე დღეს დიდად გადავიღებულა. ორგანიზა-
ციული კითხვები, რომლებიც ამ შინაურ უთანხმოებაში
საკმარისად დიდ როლს თამაშობენ, დღეს თითქმის აღარ
არსებობს. პარტია უნდა მოეწყოს საარჩევნო სისტემის წესზე.
ტაქტიკური ხასიათის კითხვებშიაც ისეთი განსხვავება აღარ
არის, როგორც წინეთ იყო. ერთი სიტყვით, ის დაშორება,
რომელიც დღემდის არსებობდა პარტიის ორ ფრაქციას შო-
რის, დღეს თითქმის აღარ არსებობს. ორივე ფრაქციის ადგი-
ლობრივი ორგანიზაციები უკვე ახდენენ დროებით შეთანხმე-
ბას, სანამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები მოახ-
დენდნენ საბოლოო გაერთიანებას ორ ფრაქციას შორის. ეს
ფაქტი საბუთს გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს
გაერთიანება უეჭველად მოხდება, და მოხდება ახლო მომავალში.
საჭიროა მხოლოდ, რომ ორივე ფრაქციის წარმომადგენ-
ლებმა უარყოფნა შედგენონ ფორმალური და ფრაქციული
თავმოყვარეობა. ყველაზე წინ დღეს უნდა დაყენებულ იქნას
მთელი პარტიის ინტერესი. ამაში უნდა ვხედავდეთ პარტიის
ერთ უმთავრეს ტაქტიკას დღევანდელ პოლიტიკურ პირო-
ბებში.

შეერთების საკითხი გადაწყდება, რასაკვირველია, ორივე
ფრაქციის წარმომადგენლების შეერთებულ კრებაზე. ამ კრე-
ბაზე პარტიის ყველა ორგანიზაციების მხრით ფართო მონა-
წილეობის მიღება უზრუნველ ყოფილია, ასე რომ მისი გარ-
დაწყვეტლება ეს პარტიის უმრავლესობის სურვილის გამო-
ხატვა იქნება და როგორც ხსეთი, მისი დადგენილებანი პარ-
ტიის ყველა ორგანიზაციებისათვის და ყველა წევრისათვის
სავალდებულო უნდა შეიქნას.

სხვა და სხვა ამბები.

15 ნოემბერს დიდუბეში მებაღეების მიტინგი იყო დანი-
შნული. მიტინგს 200-დე კაცი დაესწრო. მებაღეები დიდი
სიხარულით მიეგებენ ერთმანეთს. ჩამოსულები იყვნენ გლდ-

ნის, ზემო ავჭალის და კასპის მებაღეები და აგრეთვე მიტინგს დაესწრენ საბაღოს სსსწავლებლის შეგირდები. კრება ნაშვადღევის მეორე საათი იქნებოდა რომ გაიხსნა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. — დ. ორგანიზაციის წევრი, რომელმაც დიდი თანაგრძობა გამოუმსახა მებაღეებს. ილაპარაკა ოთხმა ორატორმა. მათ შორის ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი იყო, რომელსაც მებაღეებმა დაახლოებით ასეთი პასუხი გაცეს: ჩვენს სოცხლემში მიწას ვმუშაობთ, მაგრამ მიწის ღარიბი ვართ. შემდეგში ს. - დ. მუშათა პარტიის წევრმა აუხსნა სხვა და სხვა პარტიების მიზანი.

შემდეგი მიტინგი დანიშნული ოთხშაბათისთვის 24 ნოემბერს.

კრებამ დაადგინა შემდეგი რეზოლიუცია:

1. ვცნობთ კავშირს მთელი კავკასიის მებაღეებისას ს. ს. დ. მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით;
2. მებაღეები, რომლებსაც იჯარით გვაქვს ბაღი, უარს ვუცხადებთ იჯარაზე და ვთხოვლობთ ჯამაგირზე მიღებას.
3. მიღებულ იყვნენ ყველა ისენი, ვინც დათხოვილ იქნა.

— 15 ნოემბერს დაიწყო სართო გაფიცვა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა. ეს გაფიცვა მიუღწევს მოედვა და ჯერაც არ შეწყვეტილა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ დურნოვომ და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსმა სევასტიანოვმა ცირკულიარით შეატყობინეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებს: რადგანაც შესაძლებელია ფოსტა ტელეგრაფის მოხელენი გაიფიცენ, რაც მეტის-მეტათ არა სასურველი მოვლენა იქნება, განკარგულება მოახდინეთ, რომ, თუ ვინციმბა გაფიცვა მართლა მოხდა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ნამსახური ძველი მოხელენი, რომელნიც ახლა სამსახურიდან გადაშვდნარნი არიან. მოიწვიოთ გაფიცულ მომხელეთა მაგივრად. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებმა შესაფერი განკარგულება მოახდინეს ამის შესახებ. («ივ.»).

— 16 ნოემბერს დილიდან თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სადგურში მუშაობდნენ კავკასიის საპიორთა პირველ ბატალიონის ჯარის-კაცები, რომელთაც ტელეგრაფზე მუშაობა ძალიან უჭირდებოდათ. გამოირკვა, რომ ჯარის კაცებს ასეთ სერიოზულ მუშაობის შესრულება არ შეუძლიანთ. „უიტონის“ სისტემის აპარატებზე სრულებით ვერ იმუშავეს. მუშაობდნენ მხოლოდ „მორზე“-სა და „იუზა“-ს აპარატებზე. იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჯარის კაცნი მოსკოვში გასაგზავნენ დებეშებს მანგლისში გზავნიდნენ.

— ქალაქის სხვა და სხვა უბნის მცხოვრებნი უკვე შეუდგნენ ზრუნვას თავსაც ორგანიზაციის დაარსების შესახებ. მოლაპარაკება მოხდა მე-4, 8 და 4 ნაწილებში.

— 12 ნოემბრისთვის თფ. ქალაქის საბჭოს კრება იყო დანიშნული. რადგან ხმოსანთა კანონიერი არ გამოცხადდა, გაიმართა კერძო თათბირი. ნაძალადევის ერთმა მცხოვრებმა წარუდგინა კრებას სია ხულიგანების მიერ აკლებულ ხალხისა და აცნობა, როგორ იქცვიან ხულიგანები ქალაქის ამ ნაწილში და წინადადება მიცა განიხილოს საკითხი თავის დაცვისა და მილიციის დაარსების შესახებ. კარგა ხანს კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ საჯარო კრებაზე ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. (ც. ფ.)

— თფილისის ქალაქის საბჭომ 5000 მან. გადასდო დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ.

— თფილისის გოროდოვებს 150 კაცი ემატებათ. გოროდოვებთ მთავრობა ნიშნავს სათადარიგო ჯარის კაცებს და თვეში 15 მანათს უნიშნავს ხაზინიდან.

— თფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირმა გადაწყვიტა, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას შეუერთდეს. თითოეული მოსამსახურე ჯამაგირიდან ერთს პროცენტს გადასდებს. შეგროვილ ფულიდან რამდენიმე პროცენტი სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას გადაეცემა, ზოგი კი მოსამსახურეთა კავშირს მოხმარდება.

— კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა თავის საგანგებო ბრძანებაში № 309 სასტიკათ აუკრძალა ჯარის კაცებს პოლიტიკურ კრებებსა, მიტინგებსა და კავშირებში მონაწილეობის მიღება. ბრძანების დამრღვევნი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი. ნამესტნიკი წინადადებას აძლევს ჯარის უმფროსებს, ყური უგდონ სალდათებს, რომ მისი ბრძანება არ დაარღვიონ.

— 14 ნოემბერს მიტინგი ქონდათ ტფილისის საპიორთა ბატალიონის ჯარის კაცებს. მიტინგის გამართვამდე ჯარის კაცებმა ნებათა თხოვეს მორავ აფიცრს, მაგრამ მან განაცხადა, რომ მე არ შამიძლიან ნება დაგართოთ. შემდეგ სალდათებმა ნებადაურთველად გამართეს მიტინგი, რომელზედაც შემდეგი მოთხოვნებიანი შეიმუშავეს: 1) სამხედრო სამსახურში ჯარის კაცნი მხოლოდ ორ წელიწადს რჩებოდნენ, 2) მიეცეთ ნება საინტენდანტოს რევიზიის მოსახდენათ სალდათებისგან კომისიის არჩევისა, 3) უფროსები ჯარის კაცებს ზრდილობიანთ ეპყრობოდნენ, 4) თითოეულ ჯარის კაცს თვეში ხუთი მანათი ჯამაგირი დაენიშნოს, 5) გაძვეებული იქმნენ სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც თავის ხულიგანურ მოქმედებით ჯარის კაცებს ღირსებას ჩირქსაცებენ, 6) გაუმჯობესებულ იქმნას ბინა, საჭმელი და ტანისამოსი და 7) სამსახურის ვათავების შემდეგ, თითოეულ ჯარის კაცს ჯილდოდ 25 მანათი მიეცეს.

— გორის ნაწილის ახალ ჯარის კაცებს 8 ნოემბერს გორში კრება გამართეს, რეზოლიუცია შეიმუშავეს და მთავრობას შემდეგი მოთხოვნალებანი წარუდგდნეს: 1) სალდათები უნდა დარჩნენ სამშობლოში და იმ გუბერნიებში, სადაც მიწერილნი არიან, 2) ყოველ სალდათს უნდა დაენიშნოს თვეში 5 მანათი ჯამაგირი, 3) უფროსები ზრდილობიანთ უნდა ეპყრობოდნენ თავის ხელ-ქვეითებს და 4) სამსახური უნდა იყვეს ორი წელიწადი. სანამ ამ მოთხოვნებილებს არ დააკმაყოფილებთ, ფიცს არ მივიღებთ და სამსახურში არ წავალთო—აცხადებენ ჯარის კაცნი.

ამავარივე მოთხოვნებიანი წარადგინეს ნოვოდაიხეთისა და გორის პოლკებმა და არტილერისტებმა.

— ამ უკანასკნელ ორ კვირაში სევასტოპოლში დადი ამბები მოხდა. მთელი შავი ზღვის ესკადრა აჯანყდა, მათ ქვეითი ჯარიც მიეხბრა, აჯანყებულებმა ქალაქი ხელში ჩაიგდეს, უფროსები: აფიცრები და ყველა დიდი მოხელეები დაატუსაღეს და ქალაქის მართვა გამგეობას თითონ შეუდგნენ როგორც დებეშები იტყობინებიან ქალაქში საუცხოვო წესრიგი სუფევს რევოლუციონერ მატროს—ჯარის-კაცთა თადარიგის წყალობით...

— სარაჯიშვილის ქარხანაში მუშები გაიფიცნენ. გაფიცულ მუშათა რიცხვი ორმოცდაათამდეა. გაფიცულნი არიან დღიური მუშები. გაფიცვის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მათი ბედი ყოველთვის რყევამია: თუ ერთს კვირას ამუშავებენ, მეორე კვირის უსაქმოთა რჩებიან; თუ მცა დღიურ მუშებს ხელფასთ დღეში 75 კაპ. ეძლევათ, მაგრამ, რა თქმა უნდა,

მათთვის ხელსაყრელია თვიურად ყოფნა განსახლებულის ჯამაგირით და მუშებიც თვიურ ჯამაგირზე მიღებას თხოულობენ. დღიურ მუშათა მოთხოვნებიც თვიური მუშებიც მხარს უჭერენ.

— კვირას, 13 ნოემბერს, კრება ქონდათ ტფილისის ფარმაცევტებს. განსახილველი საგნები იყო: 1) ფარმაცევტთა დამოკიდებულება 17 ოქტომბრის მანიფესტთან, 2) განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს დაზარალებულთა შემწეობა და 3) მცხოვრებთა თავის დამცველ მილიციის დაარსება. პირველ საგნის შესახებ კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტითარავითარ თავისუფლებას არ გვანიჭებს, რადგან გრაფ ვიტტეს მთავრობა ხალხის დამწველების საქმეში ისევ რეპრესიულ ზომებით ხელმძღვანელობს. ამის გამო კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ახლანდელი მთავრობა ხელს უშლის რევოლუციას. ფარმაცევტთა კავშირის აზრით, მხოლოდ რევოლუციონერის საშუალებით შეიძლება დამფუძნებელ კრების განხორციელება, რომელიც მწვეულ უნდა იქმნეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორად ფარულ კენჭის ყრით“ კრებაზე აგრეთვე გადაწყდა ფარმაცევტთა შორის ხელის მოწერით შეიკრიბოს ფული და გადაეცეს იმ პირთ, რომელნიც შოძრაობის დროს ძალიან დაზარალებდნენ — გურულთ და ქართლებს. საგანი თავის დაცვს შესახებ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. შემდეგი კრება ფარმაცევტებისა დანიშნა დღესთვის (ივ.)

— ქართველ მასწავლებელთა კრება. ორშაბათს, 21 გიორგობისთვის, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება; კრების მიზანია დაარსება ქართველ პედაგოგების, საზოგადოებისა, რომელმაც ახალი პროგრამით უნდა მოაწყოს ქართული სკოლა,

— თფილისში არსდება სოციალ-დემოკრატიულ ყოველ დღიურა გაზეთი რუსულ ენაზე, რომელსაც ეწოდება „**Кавказский Рабочий Листок**“. გაზეთი გამოვა 20 ნოემბრიდან.

— გაზ. „ივერიის“ სიტყვით, ამ დღეებში მინგრელსკი პოლკის ჯარის კაცებს კრება ქონიათ, რომელზედაც თავიანთი მოთხოვნებიანი შეთქმულებით და პოლკის უფროსისათვის წარუდგენიათ. მოთხოვნებიანი შეეხება სათადარიგო ჯარის კაცთა სამსახურიდან დაუყარებლივ განთავისუფლებას, საქმლისა, ბინისა და ტანისამოსის გაუმჯობესებას, უფროსებისაგან ზრდილობიან მოპყრობას, ყოველ ჯარის კაცისთვის თვეში 5 მანეთის დანიშვნას და სხვა. პოლკის უფროსი ჯარის კაცებს დაპირებია, რომ ამ მოთხოვნებებს სასვებით დაეკმაყოფილებთო. საქმელი, როგორც გავივით, უკვე გაუშუამჯობესებიათ.

კ რ ე ს ბ ო ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი.

ს. სარიყამიში. (ყარსის ოლქი). 15 ოქტომბრიდან დაწყებულმა მთელი რუსეთის გაფიცებმა ყარსის ოლქის მცხოვრებნიც ააშოძრა. — სარიყამიში 16 ოქტომბერს დაიკეტა დუქნები და მალაზიები და ცხოვრება ერთიანთ შესწყდა; სარიყამიშიდან ყარსამდე და ს. ყარაურგანამდე ტელეგრაფის მეთოდებით გააფუჭეს, გასწყვიტეს და სარიყამიში მთელი დღე მოწყვტილი დარჩა ყარსს. აქაური ადმინისტრაცია ძლიერ დააფთხო ამ ამბავმა. დაწმუნებული იყვნენ რომ სარიყამიში არაფერი „ბუნტის“ მსგავსი არ მოხდებოდა: ეს ჩვენი (ბიუროკრატების) მყუდრო, მშვიდი ალაგიაო; და ვის შეუძლია პრეტესტის გამოცხადებაო! ასე დაიმედებული იყვენ, მა-

რა სინამდვილემ სხვა დაანახვა სხვა აფიქრებია. დღეი ვერ ისვენებდნენ; დამე არ ეძინათ. რა იქნება? შიმშილით ამოვწყდებით? მათ ის ანიქვდათ, რომ პოლკებში (აქ ორი პოლკი დგას, ეხლა კი ორი ბატალიონია, რადგან დანარჩენი თფილისშია გაგზავნილი წესრიგის აღსადგენათ!) ვიშოვით „რეჟანოი“ პურსო.

გაფიცვამ ორი დღე გასტანა, რადგან დღეშიამ გვეცნო, რომ თვითმყარობელობა რაღაც კონსტიტუციით შეიცვალა და ქალაქებშიაც გაფიცვები დასრულებულია, კონსტიტუციის ხსენებაზე ხომ სულ „გაცოფდნენ“ და ჯერ კიდევ არ ჯერაა, სანამ ოფიციალურათ არ გამოცხადდება.

17 ოქტომბერს კუბანის პოლკის, მე-2 როტის სალდათები, რიცხვით 180 კაცი გაიფიცენ. კოლმექტიური ქალღი მთავრეს პოლკის კომანდირს და თხოულობდენ როტის კომანდერის შტაბს-კაპიტანის ჯაფარიძის გადაყენებას, გამოცვლას, რადგანაც ჯაფარიძე უდიერათ ეპყრობოდა სალდათებს.

იმავ დღეს ელისავეტოპოლის პოლკის დროებით კომანდერს ხელმოუწერელი ბარათი გაუგზავნეს წელს სამსახურ დასრულებულ სალდათებმა, რომელთაც სახლში არ უშვებენ. წერილში თხოულობენ: ან გაგვიშვით სახლში, ან ნუ გვამუშავებთ და ყარაულში ნუ გვგზავნით წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ნებით წავალთო. შეშინებულმა კომანდირმა მეორე დღეს 18 ოქტომბერს, სამსახურ გათავებული სალდათები მოიხმო, და რომ არ აბუნტებოდათ, თავის დასაცველათ ახალ სალდათებიდან შემდგარი უჩებნი კომანდა გამოიყვანა თოფებით და პატრონებით. როცა შეეკითხა სამსახურ გათავებულ სალდათებს, პრეტენზია ხომ არა გაქვითა, ყველამ ერთხმით გაუმეორეს ის, რასაც წერილში თხოულობდენ. ამ ორბა ფაქტმა სულ მთლათ აურია გონება „პომპოლიკებს“, დაზრთხენ, იქით ეცენ, აქით ეცენ, მარა ჯერ ვერაფერი გამოიგონეს მათ დასამშვიდებლათ და შემდეგში რას იქმენ მომავალი დაგვანახებს.

ივანე.

დაბა ხარაგაული. (შორაპნის მაზრა). თავისუფლების შუქმა მოახწია. 23 ოქტომბერს თუმცა და წვიმიანი დღე იყო, მარა დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სხვა და ასხვა სოფლებიდან. ორი სოფლიდან წითელი ბაირალებიც კი მოიტანეს. გაიმართა მიტინგი; პირველათ ხორბო იმდერა მარსე ლიეზა და შემდეგ ორატორებმა აუხსენეს ხალხს მანიფესტის მნიშვნელობა და ისიც, თუ რამ აიძულა მთავრობა, რომ თავის თავი გაკატრებულათ გამოეცხადებინა. დასრულდა თუ არა მიტინგი, ხალხმა ერთხმით მოითხოვა, სანამ ჩვენი ამორჩეული კაცები არ გამოსცემენ კანონებს, მანამ ჩვენ ერთი გროშის გადახდა არ შეგვიძლიან, გვეყო მოტყუებოა.

26 ოქტომბერს შეიკრიბა ხარაგაულის საზოგადოება; ამ დღეს უნდა გვესამართლებიათ ამ საზოგადოების მამასახლისი გლახუა კოპაძე, რომელსაც ბრალდებოდა საზოგადოების ფულის მითვისება, მეჭრთამეობა, ჯაშუშობა და სხვ. საზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელმაც საქმის გამოძიების შემდეგ აღმოაჩინა შემდეგი. მამასახლისის კოპაძეს მიუთვისებია 255 მან., მთავრობისთვის კი უცნობებია, ეს ფულები, როცა კანცელიარისი სენობა დაარღვია ხალხმა იქ მქონდა და მომპარესო. ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში სომარი დროის წესები იყო გამოცხადებული, ამიტომ მთავრობამ ეკვეპუციის საშუალებით 6 საათის განმავლობაში გადაადგინა ხარაგაულის საზოგადოებას ეს ფული. გარდა ამისა აუღია ქრთამათ მედუქნებისაგან 200 მ., უთქვამს კანცელიარის

შენობის დანგრევებში თქვენ მონაწილეობა მივიღით და მიტომ თუ 200 მანეთს არ მიმცემთ მთავრობასთან დაგაბეზღებ და გადაგასახლებენო. საზოგადოებამ გამოუცხადა მამასახლისის ზიზი და დაადგინა გადახდეს 458 მან. კობაძეს და ეს ფული გადაიღოს სამკითხველო—თეატრის შენობის ასაგებთ.

გაუნათლებელ უსწავლელ მამასახლისს არც ნასწავლი და დიპლომინი ექიმი ბ-ნი მ. ლორთქიფანიძე ჩამორჩენია. საზოგადოებამ მის წინააღმდეგაც განაცხადა საჩივარი, რომ ექიმი ტყავს გვაძობს, გვაგინებს, უღიერათ გვეპყრობა და ზოგს ჩვენგანს ხელთაც კი შეგვეხოო და სხვ. რამოდენიმე ახალგაზრდა იკისრა ამ საქმის გამოძიება და შეუდგა ფაქტების შეგროვებას და სამწუხაროთ იმდენი ფაქტები შეგროდა, რომ არც მოველოდით. ეს დაბლომინი ვაჟბატონი, არა თუ შედლოდა ქაჩავებულ გლეხის მღვდლმარკობაში, პირიქით ფეხის ქარას ერთი ორთა ახლევინებდა, სახელმწიფო ქსენონში, რომელიც უფასოა ყველასათვის ის თურმე ფულს ახლევინებდა, მაგ., ერთი გლეხისთვის გადაუხდევინებია 25 მანეთი, მეორესთვის 10 მ., შესამესათვის 6 მანეთი და სხვ. ქალებს უშვერი სიტყვით აგინებდა. სოფელ ლაშეში მუცელათ ავათყოფთან არც თითონ წავიდა და არც ფერშაჟი გაგზავნა. ავათყოფი უბატონოთ მოკვდა, თუმცაღა ამისათვის მას ფეხის ქირა ხაზინიდან ეძლევა წინდაწინ ავანსით. მოსამსახურე ბიჭისთვის, რომელსაც ხაზინიდან ეძლევა ჯამაგირი თვეში 15 მან., მას უძლევია 4 მ. 20 კ., დანარჩენი კი თითონ მიუსაკუთრებია. შეშა უყიდნია საყენი 14 მან., ანკარიში კი ნაწვენი აქვს საყენი 30 მან. და სხვა მრავალი. ბევრი უჩივოს, მარა ყურადღება არავინ მიჰქცია. დღეს თავისუფალმა ხალხმა მოითხოვა მისი საჯარო გასამართლება. დღემდის ყოველად ძლიერი, ხოლო დღეს კი უძლეური ბიჭროკრატო-ეკიმი შედრკა, გაექცა საჯარო სამართალს, ბ. გუბერნატორის დათხოვნის ქალაქი მიართვა და ასე უნდოდა აეცილებინა ხალხის მსჯავრი! ხალხმა მის ნაცვლათ აირჩია ახალგაზრდა ექიმი საყვარლიძე. ენახთ როგორ გაამართლებს ბ. საყვარლიძე ხალხის ნდობას.

კახოს.

ოქტომბერი, 3 ნოემბერი, 1905 წელი. სტუდენტობამ მიიღო ჩვენი რეზოლიუცია (ისკრა № 107) და ჩვენც, რასაკვირველია, ფართოთ მოვიხმარეთ უნივერსიტეტის შენობა. დადგა მატინგების ხანა.-ჩვენი ქვემდროში ორგანიზაცია მის სინათლეზე გამოვიდა, ჩვენი ორატორები თავისუფლათ ეწეოდნენ აგიტაციას, მიტინგს ესწრებოდა 10 იდან 20 ათასამდე მოქალაქე და მუშები. ცეცხლისთვის საჭირო იყო მუგუზალი, რომელი ამოვარდნილიყო... და აი კიდევ მოგვიწერო საერთო პოლიტიკურმა გაფიცვამ. აქაურ სამმა (უმცირესობა, უმრავლესობა, ზუნდი) სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებმა გამოსცეს საერთო პროკლამაცია მოწოდებით; „გაუწოდეთ ხელი ამხანაგებს, გაიფიცეთ!“ გაფიცვაც დაიწყო. პირველათ გაიფიცნენ საშუალო სასწავლებლის მოწაფეები.- ოდესის ქუჩებში იკისო ყმაწვილების ვივილიზილია... საუბედუროთ, საღამოს მოწაფეებს დევცა პოლიცია და ყაზახები; ბევრი დაიჭრა. მოწაფეების ფაფიცვას მოყვა უნივერსიტეტის დაცემა—ეს შეფთოსკერას დასახლებულ ორგანიზაციებმა მიიწვიეს ქარხნის მუშები ქალაქის დასაყეტათ... ქუჩები ერთიანათ ამოვსებული იყო. ხალხის ადღელებამ უმაღლეს წერტილამდე მიადწია. ვიცარცვეს თავიწმლის მალაზი, დაიწყო ბარბიკადების ყეუბა. მოხდა შეტაკება ხალხსა და ჯარს, ყაზახების და პოლიციის მხევრული ბევრი იყო. რამოყენიმე ამხანაგიც დაგვეჭრა, ორშაფათს საერთო გაფიცვა განვახორციელეთ.. ამასობაში 17 ოქტომბრის

ცნობილმა მანიფესტმა მოგვიწერო. ქუჩები თვლის დახახახებულნი იყოს ხალხით. ყველაზე მეტი ხალხი შეიკრიბა ქალაქის შენობის წინ. იქნებოდა 100,000 კაცი... 100 წითელი დროშა დაყურებდა მიტინგს. ლაპარაკდნენ ჩვენი ამხანაგები და უხსნიდნენ მსმენელთა პოლიტიკურ მომენტს... იქნებოდა სამი საათი, რომ გვაცნობეს დალიციის ქუჩაზე აკლემბა, ურიების ხოცვა-ჟლეტა და ცარცვა დაწყეს... მაშინათვე მივიღეთ ზომები, მარა ვერ შევძელით ამ აკლემბის შეჩერება... ჩვენ შეიარაღებულ რაზმებს ხელიგანებს ვარდა უხდებოდა ბრძოლა ჯართან და პოლიციასთან... ორივე უკანასკნელი ჩვენ თოფებს გვახლიდნენ... სამი დღე და სამი ღამე გაგძელდა შინაური, სამოქალაქო ომი... დახოცოლია ხულიგანების და პოლიციის მხრით, ბევრი დახოცა ტრიები, ბევრი დახოცა ჩვენი მხრით, დახოცოლია რიცხვი უდრის 1,500 კაცს, მძიმეთ დაჭრილთა 3000 კაცს, მსუბუქათ დაჭრილთა დათვლა შეუძლებელია.

უკანასკნელ დღეებში ჩვენი ორგანიზაციული და პოლიტიკური გავლენა საათობით იზღებდა...

ცოტათ თუ ბევრათ სორგებიდან გამოვძვრით; კონსპირაცია ეხლა არ არსებობს და ხელი შევყავით ლეგალურ მასიურ მუშაობას; დევიარსეთ და კიდევ ვიარსებთ პროფესიონალურ კავშირებს, დღეს-ბეღელ გვეყოლება ჩვენი ორგანიზაციის წყალობით მუშების დემუტატების რჩევა, დღეს-ბეღელ გამოვცემთ პარტიულ გაზეთსაც... აქაურ უმცირესობის და უმრავლესობის ორგანიზაციის ცენტრებმა მოვილაპარაკეთ და შევეთანხმდით შეერთებაზე.- ხელ პირველ საათზე ორივე ორგანიზაციის (in corpore) კრება, შერთება უსაყოთ მოხდებდა; მუშები ამის მსურველია. შეერთების შემდეგ უმრავლესობის და უმცირესობის კომიტეტები, როგორც ასეთები, მოისპობა; მის მივივრ მთელი სოციალდემოკრატიული მასა ამოიჩვენეს ერთ კომიტეტს რ. ს. დ. მ. პ. შეერთება ორ საფუძველზე უნდა მოხდეს: ამორჩევითი წესი და არც ერთი ცენტრის გადაწყვეტილება საყვარლებული არ არის; მიღებული იქნება იმ ცენტრის ტაქტიკა ანა აუ იმ კითხვის შესახებ. რომელსაც მოიწონებს კომიტეტი. დამოკიდებულება გვექნება როგორც ცენტრ კომიტეტთან, ისე ორგან. კომისისთან.

რ უ ს ე თ ი.

გრავ ვიტრეს წერადის შესახებ, რომელიც დაწერიდა „მთა-მუშათა“ მიმართ, მუშ. დეპ. კრებამ აღტანებული ტამის ტემით მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მუშათა დემუტატების საბჭომ მოისმინა რა გრავ ვიტრეს ტელეგრამა „მთა-მუშათა“ მიმართ, უნარგულესად ყოველისა შეტრის-შეტ განცვიფრებას აცხადებს ამ შეთანხმადგადის თავხელობის შესახებ და კათხულობს: რა ბარბაზში უწოდა მან პეტრბურგის მუშებს «მშება»? ბრალეტარებს ანაუთარო ნათესაობა არა აქვთ გრავ ვიტრესთან. საბჭო აცხადებს:

- 1) გრავ ვიტრე ჩვენგან ჩვენივე ცოლშვილის შებრალებას ითხოვს. მუშათა დემუტატების საბჭო ამის საპასუხით მოწოდებს ეყვლა მუშებს და თხოვს დათვალონ: რამდენი ქურთა-თბოლა მოქმატა მუშებს, მან შემდეგ. რაც ვიტრემ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო.
- 2) გრავ ვიტრე მუშებისადმი „მოწაყე ყურადღება“-ზე აღაზრავს. მუშათა დემუტატების საბჭო მოაკრებს პეტრბურგის ბრალეტარატს სისხლით შეღებულ ცხრ: იაქრის დღეს.
- 3) გრავ ვიტრე გუთხოვს მივეცი „დრო“ და გვიბრძება რომ „რაც შეუძლია“ აღმარებას აღმოგვიჩენს. მუშათა დემუტატების საბჭომ იცის, რომ ვიტრემ ვადაკვრ იბოვა „დრო“ და

ზოლოტო სახელწოდებას მისცა გასანადგურებლად. მუშათა დეპუტატების საბჭო დარწმუნებულია, რომ ვიტრე არც შეუძლია, ენდობა დასწრის რევოლუციონერული პროლეტარიატი.

4) ვრდო ვიტრე ამბობს, რომ ამას ჩვენთვის კეთილი სურს. მუშათა დეპუტატების საბჭომ იცის, რომ მუშათა კლასისთვის სრულიად არ არის საჭირო შეფასება, „მათგანველების კეთილი სურვილები“. მუშები ითხოვენ ხალხის მმართველობას, სყოველთაოდ, ზირ-დაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ერთი ამორჩეულს.

— ზეტერბურგის ზავადებში და ქარხნებში მოხდა კრებები რომლებზედაც ზოლოტო საომარ წესების შემოღების და გრანტადელი მატრასების სახელწოდებით სამართალში მიღების შესახებ. მრავალი რეზოლუციები გამოატანეს. მოგვყავს ორი მათგანი:

ლესინერის ზავადის მუშების რეზოლუცია:

გრანტადელის ჯანყების ჩვენ დიდ შინაშენლობას ვაძლევთ. სამხელი და აუცილებელი სიკვდილი უთვალთვალეს თვითმხრობელობას, რადგანც ის კარგავს თავის უკანასკნელ მომხრეს — ჯარს. ჩვენ, ლესინერის ზავადის მუშები, მსურვალე სჯაშის ვუძღვებით ამხანაგ-მებრძოლთ, ენერგიულ პროტესტს ვუცხადებთ მთავრობას, რომელსაც უნდა სამხედრო სამართალში მისცეს მატრასები და სიკვდილით სსჯულად დაუმზადოს მათ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ სიკვდილ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მოწოდებისთანავე აქტიურ დახმარებას გავუწევთ ჩვენ ამხანაგ-მატრასებს. მოვარებებთ დანარჩენ ჯარისკაცებს, რომ ისინი ჩვენა ძმებია და თუ კარგათ შეიგნებენ ჩვენ მიზანს და მისწრაფებას, დარწმუნდებიან, რომ ისინი იმისათვის უნდა აბრძოდნენ, რისთვისაც ჩვენ ვაბრძობთ; ჩვენ მოვუწოდებთ ამათ ჩვენთან ერთად თვითმხრობელ მთავრობასთან საბრძოლველად დემოკრატიული რესპუბლიკის და სსხლხ მდიდრების მისა-ზობელად რუსეთის სიკვდილ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წითელი დროშის ქვეშ მოქმედებით.

ვაბორგის რაიონის დეპუტატთა რეზოლუცია, მიღებული 31 ოქტომბრის კრებაზე:

„ჯანყებულ მატრასებს—ჩვენი ამხანაგები და თანამებრძობი არანა. ჩვენ სიხარულით მივსალმობით ამათ, როგორც ჩვენ მოძიე-მებრძოლთ. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ მთავრობას ამ სსსტრია ზომებისთვის და სსსჯულისთვის, რომელიც ამას სურს ომ-მაროს ჯანყებულების წინააღმდეგ. ჩვენი ამომჩვეული ქარხნების მუშების სახელით ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ ზოლიტკურთი გაფიცების და დემონსტრაციებისთვის. ჩვენ დაუხებთ ვითხოვთ სახელწოდებით ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ ზოლიტკურთი გაფიცების და დემონსტრაციებისთვის. ჩვენ დაუხებთ ვითხოვთ სახელწოდებით ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ ზოლიტკურთი გაფიცების და დემონსტრაციებისთვის.“

ჩვენ მოვითხოვთ ხალხის შეარაღებას, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მუშათა დეპუტატების საბჭოს დაუხებელი შეიკრიბოს და ვუცხადებთ ჩვენ აზრს ზოლიტკურთი გაფიცვის და დემონსტრაციების აუცილებლობაზე, პროტესტის ფორმის საბოლოო გარჩევას კი, მუშათა დეპუტატების საბჭოს მივანდობთ“.

ამავე ხასიათის რეზოლუციები გამოატანეს ზეტერბურგის უველა ქარხნა-ზავადებში მუშებმა ზოლოტო საომარ დროის წესების შემოღების შესახებ.

7 ნოემბერს 12 საათზე მუშათა კავშირის ბეჭდვითი საქმის ბიუროს შინაბაში შეგვიადვენ ამ უბნის ბოქალა თავისი თანამემწით, ზოლიტკურთი და ჯამუშებით. ზოლიტკა გარს შემოკრეტა შინაბას და განაცხადა რომ კარგად არავის გაუშვებს. ახალშემოსულისგან შინაბაშივე ტოვებდნენ. როდესაც ერთმა მუშამ კარგად გამოსლვა მოინდომა ვიღაც ზოლიტკურთი ამას გულზე სელი ჭკრა და სხადღე მიიძადა. მეორე ზოლიტკურთი მანანმა, რომელსაც ბიუროში შეოფმა მუშებმა მოთხოვეს

ზოლიტკის მათ შინაბაში შეკარდნის და იქ შეოფ პირთა უკანონო დატოვების მიხეზა, უწაწურა სიტყვებით მისცა ზასუხი. გამოირკვა, რომ ზოლიტკა ზეტერბურგის გრადონაწლნიკის და ს.— ზ. ბ. სამოსამართლო ზალატის პროკურორის მოწერილობით მოქმედებდა. ზოლიტკის აზრით ქონდა ზეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოსგან გამოცემული „მუშათა დეპუტატების საბჭოს რნობები“ („ИЗВЪСТІЯ С. Р. ДОМ.“) ჩაველო სელში. ზოლიტკამ უბრძანა მუშებს „რნობების“ დანარჩენი ეგზემპლარები (მანათისაიდან 131-და იყო) მათთვის გადაეცათ, მარა მუშებმა უზასუხეს, რომ ეს ბრძანება ამათ უკანონო მიანათა და გასეთის არც ერთ ეგზემპლარისაც არ მისცემენ ამათ. ზოლიტკამ გამოიწვია პროკურორის თანამემწე ბეკოვი, ზოლიტკისტიკერი, ჟანდარმის ზოლიტკურთიკი კონისკი, რომლებმაც განაცხადეს რომ გასეთის ეგზემპლარები უსათუთ უნდა „დააჭირონ“. ეველა იქ შეოფმა მუშების წარმომადგენლებმა ზაზიდა გამოცხადეს ზოლიტკურთის ძალადობისთვის, ზოლიტკის და ჯამუშების უზრდელობის და თვითნებობისთვის. მუშათა ბრძოლით მოზობულ მოქალაქეობრივ თავისუფლების, და კერძო ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლების ძალით, მუშათა დეპუტატების საბჭოს აკუმულაციამ გამოასიყა იქ შეოფთ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში აღიარებულია ბრძოლით მოზობული თავისუფლება და ამ ხარით ზოლიტკურთის სექციელი ოფიციალურად უკანონო უნდა ჩითვალეს, მითგან გასეთის დატერა სურვალი ეოველ სსფუტკელს მოკლებულია, რადგანაც ამათ სამოსამართლო ზალატის მოწერილობაც არა აქვთ. მუშათა ეღ. სპ. წარმომადგენლებმა და მუშათა კავშირის ბეჭდვითი საქმის წარმომადგენლებმა ზოლიტკის უზასუხეს რომ გასეთის რმრების წადება ამათ მხოლოდ შეარაღებული ძალით შეუძლიათ. პროკოვლის შედგენის შემდეგ ზოლიტკამ დასცადა შენობა და ქუჩაში მდგომ ცხენოსან ზოლიტკურთის და ჯართის ერთად კულ-ამოძუებული წავადა. („რეკავა ჟიხნი“).

ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისთვის. ამ უმით რვა საათის სამუშაო დღე არა თუ უახლესი მოთხოვნის შედგენის, ზეტერბურგის პროლეტარიატისთვის ცხარებშია გატარებული იფქტა კადეტ. ფაბრიკანტების გლოვა-ტირილის მიუხედავით რვა საათის სამუშაო დღე თითქმის ეველგან შემოიღეს რევოლუციონერული გზით; ჟერ ჟარობით შემდეგმა ქარხანა-ზავადებმა შემოიღეს რვა საათის სამუშაო დღე: სემიონოვის, ობუხოვის, ბალტის, ნოოკუ-დმირალტისტიკის, აარადის, ნევის, აატლასმა, ლესინერმა, კოჟენინიკოვის, დიდი ოსტის, შუსი (სარათვა), არტისოვის, ბამის სართავმა, ნუშანის, კალინიჩის, კალინიკის, ევტერინოვის, ვორხინის, ტომალოვის, ჩეშერის, შტიკლიტის, მაკეევის, ზადის, ბანქის ქარხანამ, სანთლის და ალექსანდროვის—25-მა უმთავრესმა და მოწინავე ზეტერბურგის ქარხნებმა.

მაგრამ არც ფაბრიკების პროტესტს სძინავთ: ზირველი ექვსი აქ ჩამოთვლილი ქარხანა დახურეს, დანარჩენისაც ახლო მომავალში დახურავენ. ექვსი კარეშა, რომ უარებულ მუშას ხალხს ქუჩაში მთავრობის თანაგრძობით და დანაგრებით ურან; მათ მიერ ამომჩვეული გზაც ცხადია: სუველა ქარხნების კრათ დახურვა და რამდენიმე ასი ათასი პროლეტარების კრათ გამოყრთხილვობა და მეტას-მეტო სსაშია, ამიტომაც უნდათ ნაწილ-ნაწილად მიხურონ ქარხნები.

9 ამ თვეს ამ შემთხვევის გამო სემიონოვის ქარხნის დეპუტატების სხდომა მოხდა. ამათ კანინილეს ეს საბუთი და ქარხნების დახურვას შემდეგ რეზოლუციით უპასუხეს:

„ამხანაგებო, ზეტერბურგის პროლეტარებო! ფაბრიკანტებს და ზავადნიკებს, ვიტრეს მთავრობის დანაგრებით, უნდათ ქუჩაში გამოჰკარონ რამდენიმე ასი ათასი მუშა ხალხი, ამით ადუღ-

გენ ისინი წინ რევოლუციონური გზით 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას. ამხანაგებო! ჩვენ, სემიონოვის ქარხნის მუშეებმა უკვლახე უწინ შემოვიღეთ რვა საათის სამუშაო დღე და კაბიტაღისტების და მთავრობის რისხვად ზარეკლათ ჩვენ დაგვტყუდა თავს.—ჩვენ ქარხანა დავრუეს და ჩვენ ქუჩაში გასაგვიკურეს. ამხანაგებო, თქვენ დღეს თუ ხვალ ეს ბუდი გუწვევთ და ჩვენ მოვარდებთ თქვენ, ძებო, დამტკიცებთ თქვენი ჩვენთან ერთობას, დაემარებთ 8 საათის სამუშაო დღისთვის სკრთო ბრძოლას. მატრავთ ქარხნები, თავი დაანებეთ მუშაობას, დაემტკიცებთ კაბიტაღისტების ზეტერბურგის ზრთლუტრათა ერთობა და ჩვენს შეურეველი გადაწვეტილებას—სამუშაო დღის შესამოკლებლათ ბოლომდის ბრძოლა. ამხანაგებო! ჩვენ ქუჩაში გვერთან! მამ შევერდეთ და მოვარდებთ მთავრობას და კაბიტაღისტებს თქტომბრის „შვი“ დღეები.

გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს! ზეტერბურგის ზრთლუტრათ, შეერთდით ხელახლად და ისევე ბრძოლა—გამარჯვებამდის!

უ ქ ს თ ე თ ი.

ევროპის ბურჟუაზია და რუსეთის რევოლუცია.

რუსეთის ზრთლუტრათმა დღეს მთელი ქვეყანა განსწავთრა თავის შეტებული რევოლუციონური მოძრაობით. სულ ცოტა ხნის განმავლობაში მას იმდენი ცნობიერება შეემატა, ისე გააწვრთნა და გათვალდა რევოლუციონის ცენტრში, ისე ამაყთ გადახედა მთელ ქვეყანას თავისი მრისხნე თვლებით, რომ ევროპის ბურჟუაზია, რომელსაც არა ერთხელ გამოუღია მუშათა მოძრაობის სიძლიერე, დაფრთხა, შეშინდა და აუკანად თავისი ორგანოების ზრით.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც დღემდის უცხოეთის ბურჟუაზია გუნდრუეს უკვირდა და თავის სიტუაციურ დასმარებას არ აკლებდა—დღეს მისთვის ფრად საშაში გამოდგა და მანაც ფრთხილ შეიცვალა რევოლუციონურ მოძრაობას წინაშე. ეს ასევე უნდა მომხდარიყო: „მომომდით შობილი—ფრანკის ვერ შედგეს“. ბურჟუაზია კი ამ განათ სწორეთ მხსხვი კლასია, მან თავისი გზა განვლო, მიადწია განვითარების უმაღლეს წერტილამდე და ახლა დადგა დრო, როდესაც დღეს თუ ხვალ იგი ეარსადა წამოვა თავისი მწვერვალდამ. ასეთია აუღლებელი ბუდი მუღეველი კლასისა.

რამ შეაშინა ევროპის ბურჟუაზია?

გაზეთ „Новая Жизнь“-ში „Berl. Tag“-დან გადათარგმნილია საინტერესო წერილი, რომელიც გარკვეულ ზნსუსს იძლევა ამ კითხვას. გერმანულ გაზეთს ეშიაია, რუსეთის რევოლუცია არ გადაეღოს ევროპას და არ შეარეიოს აქაური ბურჟუაზიის განცხრობითი სიმშვიდე: „გან გაბედავს და იწინასწარმეტყველებს ახლა, რომ რუსეთში ავარდნილ ქარტხილს შემდეგ დაუბნებლავ სიწყნარე გამეფდება—ამობის „Berl. Tag“-მაშინ რაღა ვქნათ, უკვლახე უფრო სახარელი მოლოდინი რომ გამართლდეს? რაღა მაშინ, რომ რევოლუციონის ტალღებმა ვატრესთან ერთთ მომანოვების სისხლობაც შთანქას? მხოლოთ გაეე ობტემისტს შეუძლია დამტკიცებით თქვას რომ აღმოსავლეთით მომავალი რევოლუციონის ახალი ტალღა ერთბაშით მანერდება გერმანიის საზღვართან“ და სხვ. აი რა აშინებს ევროპის ბურჟუაზიას. აი, რამ შეეცვლია ახრამ მას რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობას. შიმორეული ბურჟუაზია უხრეს რეგმანიის მთავრობას, სერიალული უურადლება მაქციონს ამ საკითხს და სამუალებსაც აჩვენებს მომავალი უბედურების თავიდან ასაცდენათ. აი ეს სამუალებაც დასახლებული გაზეთის სიტყვებით:

„სამ სართულაზია არჩვენების წესი (трехклассная система) ახლავე უნდა მოვაშროთ თავიდან, რადგან ამას ზოლიტაკურთ

აუღლებლობა მოითხოვს. ნუთუ ზრუსიის და საქონიის მოაგრობამ უნდა იცადოს მანამდის, სანამ თვით ხალხი არ აიძულებს მას არჩვენების წესის შეცვლას? ნუთუ უფრო გონიერა და ფრთხილი არ იქნება ასეთი მომავალი თავიდან აცილებით და სანამ შესაძლებელია, თვითონ გააუქმონ ეს რეფორმა?“

რუსეთის ზრთლუტრათი გერმანიას ხალხის გამათავისუფლებელის რთლმა! განა წარმოადგენდა ამას, მკათსელო, ამ ერთი წლის წინათ? მაგრამ აქ განსაკვირვალი არაფერია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ, როცა რუსეთის ზრთლუტრათი თავის უფლებებისათვის იბრძვის, ის იბრძვის აგრეთვე უკვლახე ქვეყნების ხალხთა უფლებების და თავისუფლებისათვის. მაშ, გან რუსეთის ზრთლუტრათის დეე, ტარჟულ-გვემულმა რუსის მუშამ შუარდენივით განსწროს წინ და ჯდრე მოიბოფოს ის ზოლიტაკური თავისუფლება, რომლის გულისათვის ბრძოლაში, მას ტუეით და მახვილით აქვს დახურეტალ-დასერილი თავისი შეუდრეველი შკერდი! მამინ სოციალიზმის მზეც უფრო ადრე ამომუქებს...

მომთხი კრება რუსეთის სოც.დემ. მუშათა პარტიისა.

ყველა პარტიულ ორგანიზაციათა და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატთა მიმართ.

პირველმა ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელიც მებრძოლმა პოლიტიკურმა მოიბოვა ოქტომბრის დღეებში, ახალი პოლიტიკური ვითარება შექნა, ახალი პოლიტიკური მიზნები დაუყენა წინ პარტიის. ძველი თეიამპრობელობა დეცა, ძალმომრეობის წყალობით განხორციელდა რამოდენიმეთ მოქალაქობრივი თავისუფლება. შეცვლილ პირობებს პარტიამ უნდა შეუფეროს თავისი ტაქტიკა და ორგანიზაცია.

ის აუარება შრომა, რომელიც უნდა აიტანოს პარტიამ ამ საძნელო საქმეებში, დაკარგავს თავის რეალური მნიშვნელობის მეტ ნაწილს იმ შემთხვევაში, თუ რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კლავაც გაითიშული დარჩა. პარტიული განხეთქილება რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მუდამ შეცვლილ ლიზნეს: „ზრთლუტრატობა ყველა ქვეყნისა, შეგერთდით!“, ახლა არა თუ აუტანელი შეიქნა თვით პარტიისათვის და დამლბველი მისი მუშაობისთვის, არამედ ყოველივე აზრიც დეკარგა ამ განხეთქილებას, ვინაიღვან ისობა მისი ასრებობის ძირითადი მიზეზი,—სახელდობ, კონსპირატიულ პირობათა წყვილილით მოცულობა, პარტიის სრული არალეგალირობა, ე. ი. არსებულ კანონის გარეშე ყოფნა.

ჩვენ ვიწვევთ პარტიას მეოთხე მორიგ სიეხლს (კრებას), რომელმაც უნდა გადაწვიტოს მომწიფებული ზოლიტაკური კითხვება, უზარეველეს უფალას კა—საკითხი პარტიულ გაერთიანების შესახებ.

ჩვენ გაერთიანების შემდეგ გვემს ვაცხადებთ რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატის საყრადღებოთ. ერთხა და იმავე დროს და ერთხა და იმავე ადგილას უნდა შევიკრიბნენ პარტიის ორავე ხაწილთა კრებები (სიეხლები), რომელთაც უნდა შეთანხმდენ ერთმანერთ შორის მუშაობის წესის შესახებ და შეგერთდენ ერთ საზოგადო კრებათ იმ პირობით, რომ თითველ მხარეს გადამკრელი ხმის თანასწორო რიცხვი დაურჩეს. თითველმა მხარემ უნდა წინდაწინვე მტკიცეთ და შეურყველათ მიიღოს ვალდებულება, რომ ყველაფერში საერთო კრების ხმის უმეტესობის გადაწყვეტილებას დამორჩილდება. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ ნაირათ მოწყობილი გამაერთიანებელი კრება შეძლებს პარტიული მთლიანობის განხორციელებასაც და ტაქტიკის და ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შემუშავებასაც. გამაერთიანებელი კრების თავისი ნაწილის დამოუკიდებლობა მუშაობის

კვანძი

დროს თითოეული მხარე საუკეთესოთ უზრუნველ-ყოფს წარ-
მომაღლებლობის წესების სასწორებს და თავიდან აიცილებს იმ
მანვე ქიშპობას მეორე მხარესთან არჩევნების დროს, რომე
ლიც აძლიერებს ძველ უნდაბლობას. გადამჭრელი ხმის რი-
ცხვის თანასწორობა იმის თავდები იქმნება, რომ ვერც ერთი
მხარე ვერ გაიმარჯვებს მექანკურათ, ხმის უმეტესობით, და
პარტიის გადაწყვეტილება არ იქნება დამოკიდებული ამა თუ
იმ ფრაქციის სურვილ-განზრახვაზე.

ეს გეგმა ჯერ არ არის მიღებული პარტიის მეორე ნა-
წილის მიერ. ორგანიზაციონური კომისია, სხვა გვარ გეგმას
ემხრობა: თანხმით ამ გეგმისა, პარტიის ორივე ნაწილი სიგზ-
დებმა თუ კონფერენციები მხოლოდ უნდა შეთანხმდნენ ერთ-
მანერთ შორის ახალ „დამფუძნებელ“ სიგზისთვის არჩევნე-
ბის წესთა შესახებ და შექმნან საზოგადო საარჩევნო ამა-
რატი, რომელმაც შემდეგ უნდა მოიწვიოს „დამფუძნებელი“
სიგზი.

გარდა ამისა, ორგანიზაციული კომისია ისე მოკლვე
დრაში აპირებს თავის „მეორე კონფერენციის“ მოწვევას,
რომ ჩვენთვის ტენიკურათ შეუძლებელია მეოთხე სიგზის
ამ ვადისათვის შეკრება, მით უმეტეს, რომ ჩვენ შეურყვე-
ლათ გადაწყვეტთ ჩვენს სიგზისათვის უზრუნველ ვყოთ
სრული არჩევნის წარმომაღლებლობა ორგანიზაციაში მყოფ
ყველა იმ მუშებისა, რომელნიც ჩვენ პარტიაში შედიან.

ამ მიზნის მისახვევათ, რომ არ დაირღვას კავშირი პარ-
ტიის წინანდელ იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან,
ჩვენ გადაწყვეტთ შემდეგ:

ჩვენ ვიწვევთ მეოთხე მორიგ კრებას რ. ს.-დ. მ. პარ-
ტიისას მესამე სიგზის წესდების თანახმით. იმ უფლებების ძა-
ლით, რომელსაც წესდება გვაძლევს, ჩვენ ვიწვევთ სათათბირო
ხმის უფლებით მთელი პერიფერიის წარმომაღლებელთ, ე. ი.
ყველა იმ ორგანიზაციათა წარმომაღლებელთ, რომელნიც
პარტიაში შედის, თიოელ 300 ამაზნავთაგან (და ნაკლები
რიცხვიდანაც, თუ რომ რომელიმე ცენტრში ყველა შეკავში-
რებულ მუშათა რიცხვი 300-მდე არ ახწევს) ერთ არჩეულს.
ყველა იმ მუშა სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ფორმა-
ლურათ არ ჩარიცხულან პარტიაში, ვუცხადებთ დაუყოვნებ-
ლივ შევიდნენ პარტიულ ორგანიზაციაში, რათა დელეგატე-
ბის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. შეიკრიბება თუ არა
სიგზი, ჩვენ წინანდადებამ მივცემთ კომიტეტების წარმომაღ-
გენელთ, რომელთაც გადამჭრელი ხმის უფლება აქვთ წეს-
დების ძალით, რომ ყველანი, ვინც სათათბირო ხმით არიან
მოწვეული—გადამჭრელი ხმის უფლებით მიიღონ.

სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ რ. ს.-დ. მ. პარ-
ტიის მეოთხე სიგზი მიიღებს ამ წინანდლებას. ამის დავარათ
მეოთხე სიგზზე დელეგატების უმეტესობას მუშა-სოციალ-
დემოკრატთა მასის წარმომაღლებელნი შეადგენენ და ამავე
დროს არ დაირღვევა კავშირი მიყელი სოციალ-დემოკრატის
წარსულ შრომასთან და პარტიის წინანდელ სიგზდების დაღ-
გენილებებთან.

სიგზის გახსნას ჩვენ 10 დეკემბრისათვის ენიშნავთ და
მოუწოდებთ ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რაც შეიძლე-
ბა ფერტიულათ მოიხმარონ ამ ვადამდის დარჩენილი დრო
შინაურ ორგანიზაციონულ რეფორმების გასახორციელებლათ,
რაც აუცილებლათ საჭიროა სიგზდის ახალ წესებზე მოწყო-
ბისათვის. ვცადონ ამ დროს განმავლობაში თვით ორგანიზა-
ციებშიაც და „მეშუპირესებთან“ საერთო კონფერენციებზე
გამოარკვიონ ის ტაქტიკური და ორგანიზაციონული კითხვე-
ბა, რომელნიც სიგზდის მიზანს შეეხებიან.

იმედი გვაქვს, რომ პარტიის მეორე ნახევარი არ იტყვის
ლარს ახალი კონფერენციის ან სიგზდის მოწვევაზე იმ დროის-
თვის, რაცა ჩვენი სიგზი გაიმართება. ჩვენ ამის იმედი
გვაქვს, ვინაიდან მხოლოდ ორივე სიგზდის ერთდროულათ
და ერთ და იმავე ადგილას მოწვევას შეუძლია საქმის უნა-
ყოფო გაქიანურების თავიდან აცილება და გაერთიანების შე-
სახებ მწვავე კითხვის ერთბაშათ გადაწყვეტა.

ცენტრ. კ.—ტი რუს. ს.-დ. მ. პ.

პარტიის რეორგანიზაციის შესახებ *).

ჩვენი პარტიის მოღვაწეობის პირობები ძირითად ცვლი-
ლებას განიცდის. ძალით მოპოებულია კრების, კავშირის,
ბექდვის თავისუფლება. ყველა ეს უფლებები, რა თქმა უნდა,
ყოველგვარ სიმტკიცეს მოკლებულია და ვინც მათ ენდობა
ბორჯტომქმედი თუ არა, გიყი მაინც უნდა იყოს. საბოლოო
გადამჭრელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ გვიდგა, და ამ ბრძო-
ლისთვის მომზადებას უპირველესი ალაგი უნდა დაეთმოს. პა-
რტიის კონსპირაციული აპარატი ხელ უხლებლათ უნდა და-
ჩრქს. მარა ამასთანავე უსათუოთ საქირაო, რაც შიილება ფა-
რთოთ გამოვყენოთ ახლანდელი, შედარებით განიერი ასპა-
რები. უსათუოთ საქირაო კონსპირაციულ აპარატთან ერ-
თათ შეგქმნათ ახალი, აშკარა და ნახევრათ აშკარა პარტიუ-
ლი ორგანიზაციები. უამისოთ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი
მოღვაწეობის ახალ პირობებთან შეთანხმება, უამისოთ ჩვენ
ვერას გზით ვერ მოვახერხებთ ახალი მიზნების გახორციე-
ლებას...

ორგანიზაციის ახალ საძირკველზე დასაფუძნებლათ სა-
ჭიროა პარტიის ახალი სიგზი. წესდების ძალით ის წელიწა-
დში ერთხელ უნდა მოხდეს და შემდეგი სიგზი 1906 წლის
მაისისთვისაა დანიუწნული, მარა ამ ჟამათ აუცილებელია სი-
გზდის დაჩქარება. თუ რომ ჩვენ დროზე ვერ გამოვიყენეთ
ახლანდელი მომენტი, იგი ადვილად გავვისხლტება ხელიდან—
ე. ი. ორგანიზაციის შექმნის მოთხოვნილება, რომელსაც ასე
მწვავეთ გრძობენ დღეს მუშები, მახინჯ საშიშ ყალიბში ჩა-
მოყსხმება, გააძლიერებს ვილაც „ნეზავისიმცებს“ და სხვ. რაც
შეიძლება ადრე უნდა შეექმნათ ახალი ორგანიზაციები, უნ-
და დავაყენოთ საზოგადო განსახილველათ ახალი ხერხი, ახა-
ლი წესები, საბოლოოთ შევიმუშოთ „ახალი კურსი“ (მიმარ-
თულება-გზა). ჩვენი პარტიის ც. კ-ტის მიერ ხელმოწერილი
მიმართვა პარტიისადმი, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება**),
ჩემის აზრით, სრულიად მართლათ არჩევს ამ ახალ კურსს.
ჩვენ, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატის წარმომაღლებ-
ნელთ, „უმრავლესობის“ მომრეებს, ანა ერთხელ გვითქვამს,
რომ პარტიის სრული დემოკრატისაცია შეუძლებელი იყო
აქამდის კონსპირაციული პირობების მიხეზით და „არჩევითი წე-
სები“ მხოლოდ ფრზას წარმოადგენდა. ცხოვრებამ დაადას-
ტურა ჩვენი სიტყვები. უმცირესობის ყოყილ მომხრეებს არა
ერთხელ აღუნიშნავთ ლიტერატურაში (იხილვე მუშის (Pa-
ნიჩი) ბროშურა აქსელროდის წინასიტყვაობით, წერალი
„ერთი მრავლთაგანი მუშისა“, ისკრაში მოთავსებული, ბრო-
შურა „მუშების აზრი პარტიულ განხეთქილების შესახებ“
(„Рабочие о партийном расколе“), რომ ფაქტიურათ არა ვითა-
რი სერიოზული დემოკრატისაციის, არავითარი ნამდვილი
არჩევითი წესის ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა. მაგრამ
ჩვენ, მეუმრავლესეები, პოლიტიკურ თავისუფლების მოპო-

*) ეს წერილი გადმოთარგმნილია ვახ. „Новая жизнь“-იდან.
**) ამ მიმართვის ჩვენც ებეჭდვთ დღევანდელ ნომერში. „მოგზ.-
რედ.

ბასთან ერთად არჩევითი წესის შემოღებას ყოველთვის აუცილებლად ვთვლიდით. რ. ს. დ. მ. პარტიის მესამე სიგზდის ოქმები განსაკუთრებულ სიხილად ამტკიცებენ ამას, თუ რომ ამასაც კიდევ დამტკიცება სჭირია.

ასე რომ, საკითხი სრულიად ნათლად დგას: შევინარჩუნოთ ჯერ-ჯერობით კონსპირატიული აპარატი და გავავითაროთ ახალი, აშკარა. სიგზდს თუ შევუფარდებთ, ეს საკითხი (რომლის კონკრეტულად გადაწყვეტას პრაქტიკული უნარი და ადგილის და დროის ყველა პირობათა ცოდნა სჭირია) სიტყვიერად ასე გამოიხატება: მოვიწვიოთ მეოთხე სიგზდი წესდებს თანაშაბად და ამწამშივე, დაუყოვნებლივ შემოვიღოთ „არჩევითი წესები“. ც. კ—მა გადაწყვეტა ეს საკითხი: „კომიტეტები“, როგორც სრულ-უფლებიანი ორგანიზაციების წარმომადგენელი ფორმალურად, და როგორც პარტიული მემკვიდრეობის წარმომადგენელი რეალურად, სიგზდზე გადაწყვეტა ხმით მიდიან თავიანთ უფლებებისაგან. პარტიის ყველა წევრების, და, მათსადაც, პარტიაში მყოფ მუშათა მასის მიერ არჩეული დებულებები ც. კ—მა თავი უფლებების ძალით სათათბირო ხმით მიიწვია. ც. კ. აცხადებს ამასთანავე, რომ წინადადებას მისცემს სიგზდს, რათა უკანასკნელმა ეს სათათბირო ხმა—გადაწყვეტათ გადააქციოს. დათანხმდებიან თუ არა ამასვე კომიტეტების სრულ-უფლებიანი დელეგატები?

ც. კ. აცხადებს, რომ, მისი აზრით, უსათუთ დათანხმდებიან. პირადად მე ღრმად დარწმუნებული ვარ ამასში. შეუძლებელია, რომ არ დათანხმდნ. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სოციალდემოკრატიული პროლეტარიატის ხელმძღვანელთა უმეტესობა არ დათანხმდეს ამას? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიულ მუშაკთა ხმა, რომელსაც სიფაქიზით უყრის თავს გზებით „Новая Жизнь“, ძალიან ჩქარა დამატკიცებს ჩვენი შეხედულების სისწორეს: თუ რომ, მაინც და მაინც, არ ავცდა ასეთი ნაბიჯისათვის (სათათბირო ხმის—გადაწყვეტათ გადაქცევისათვის) ბრძოლა, ამ ბრძოლის შედეგი მაინც აშკარა არის. გაუსინჯეთ ამ საკითხს მეორე მხარეც, ფორმალური კი არა—არსებითი. მოვლის თუ არა სოციალ-დემოკრატიის რაიმე საფრთხე, თუ რომ ჩვენ მიერ გამოცხადებული გეგმა განხორციელდა?

შესაძლებელია საშიშოთ ჩათვალონ ის გარემოება, რომ პარტიაში ერთბაშად არა სოციალ-დემოკრატიის მასა შეიჭრება. მაშინ პარტია გაითქვიფება მასსაში, პარტია ვეღარ იქნება მთელი კლასის მოწინავე შეგნებული რაზმი, პარტია მაჩინალოდ (ХВОСТЬ) გადაიქცევა. სწორედ რომ ძლიერ საშუალო იქნებოდა ასეთი პერიოდი (ხანა). და ამ საფრთხეს მართლა რომ დაემა მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენ დემაგოგისადმი ლტოლვილება გვიჩრდეს, თუ რომ ჩვენ არ მოგვეპოვებოდეს პარტიის გამამტკიცებელი საფუძველი (პროგრამა, ტაქტიკური წესები, ორგანიზაციული გამოცდილება), ამ რომ ეს საფუძველი არ იყოს მტკიცე და შეურყეველი. მარა, საქმეც იმაშია, რომ ეს „თუ რომ“ არსად არის. ჩვენში, მეთუმრავლესებში, არა თუ არ მოინახება ასეთი ლტოლვილება დემაგოგისადმი, პირიქით, ჩვენ ყოველთვის პირდაპირ და აშკარად ვებრძოდით დემაგოგის თვით მტკიცე ნახასსაც კი, ყველა იმათგან, ვინც პარტიაში შემოსვლას აპირებდა, შეგნებას მოვითხოვდით. მტკიცეთ გვწაბდა პარტიულ განვითარების საქმეში „მემკვიდრეობა“ (Преемственность), ვკადავობდით დისციპლინას და უოკლეავე წევრისთვის რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში აღზრდის სჭირიებას. ჩვენ გვაქვს ჩვენი შეურყეველი პროგრამა, რომელიც ოფიციალურად მიღებულია ყველა სოც.-დ—ტთა მიერ, და რომლის ძირითად დებულებებს არავითარი არსებითი კრიტი-

კა არ გამოუწვევია (ცალკე მუხლების და აზრების კრიტიკა აუცილებლად საჭიროა ყოველი ცოცხალი პარტიისთვის). ჩვენ გვაქვს ტაქტიკური რეზოლიუციები, თან-და-თანობით და სისტემატიურად შემუშავებული. მე-2 და მე-3 სიგზდებზე და სოციალდემოკრატიულ ლიტერატურის ხანგძლივი მუშაობის წყალობით. ჩვენ გვაქვს აგრეთვე რამოდენიმეთ ორგანიზაციონული გამოცდილება და ფაქტიური ორგანიზაცია, რომელსაც აღზრდელი მნიშვნელობა ქონდა. ამ ორგანიზაციის ნაყოფი, თუმცა ერთბაშად არა სჩანს, მარა მისი უარყოფა ან ბრმას შეუძლია, ან დაბრმავებულს.

არა, ამხანაგებო, ნუ გავაზვიადებთ ამ საფრთხეს. სოციალ-დემოკრატიაში მოიხვეჭა სახელი, მან შექმნა თავისი მიმართულება, შექმნა მთელი რაზმები მუშა-სოციალდემოკრატიებისა. და აი ამ დროს, როდესაც გმირმა პროლეტარიატმა საქმით დამტკიცა, რომ იგი მზათაა საბრძოლველად, დაგვანახვა უნარი სოლიდარული მედგარი ბრძოლისა ნათლად დასახული მიზნის გასახორციელებლად, დაგვიტკიცა, რომ იგი იბრძვის, როგორც ნამდვილი, წმინდა სოციალ-დემოკრატი, —აი ასეთ დროს პირდაპირ სასაცილო იქნება ვინმემ გვი შეიტანოს იმაში, რომ თითოეულ ას მუშაში, რომელსაც ც. კ—ს მოწოდებით ხედავ პარტიაში უნდა ჩაირიცხო, 99 ნამდვილი სოციალ-დემოკრატი იქნება. მუშათა კლასი ინსტინქტიურად, სტიქიურად სოციალ-დემოკრატიულია, ხალხი სოც.-დემოკრატიის 10 წელზე უფრო ხანგრძლივად მუშაობამ კარგა ნაყოფი გამოიღო სტიქიურ სოციალ-დემოკრატიის შეგნებულად გადაქმნის საქმეში. ნუ გაშინებთ ამხანაგებო, ხელოვნურად შექმნილი საფრთხე! ნუ დავაიწყებთ, რომ ისეთ პარტიაში, რომელიც ცოცხლობს და ვითარდება, ყოველთვის მოინახება ფუნ-ალდემელი, რყევაში მყოფი, სიმტკიცეს მოკლებული ელემენტები. მაგრამ ასეთ ელემენტებს ადვალაა გაწვრთნის და გაამაგრებს სოციალ-დემოკრატიის ნაწრობი და შედუღებული რაზმები.

ჩვენი პარტია დაიქნა იატაკ-ქვეშ. ის იხრჩობოდა აქ ამ უკანასკნელ წლებში, მესამე სიგზდის ერთი დელეგატის თქმისა არ იყოს. იატაკ-ქვეშეთი ინგრევა. მაშ, მამაცათ გასწით წინ, აღიჭურვეთ იარაღით, დაურვიეთ ის ახალ ამხანაგებს, გააფართოეთ სამომავლო ასპარეზი, მოუწოდეთ თქვენ-კენ ყველა მუშა-სოციალ-დემოკრატს, ასობით და ათასობით ჩარიცხეთ ივინი პარტიულ ორგანიზაციათა რაზმებში. დეე, მათ დელეგატებმა მეტი სიცოცხლე შეიტანონ ჩვენ ცენტრებში, დეე, მათთან ერთად პარტიაში ახალგაზრდა რევოლიუციონური რუსეთის სპეტაკი ნაკადული შემოიჭრას. დღემდის რევოლიუცია ყოველთვის აპართლებდა და აპართლებს მარქსიზმის ყველა ძირითად თეორიულ დებულებას, სოციალ-დემოკრატიის ყველა არსებით ლოზუნგებს. და რევოლიუციამ გამაართლა აგრეთვე ჩვენი, ს.-დ., მუშაობა, გაამართლა ჩვენი იმედი და რწმენა, რომ პროლეტარიატი ნამდვილი რევოლიუციონერია. მაშ უკუ-ვადლოთ ყოველივე წვრილმანობა პარტიის აუცილებელ რეორგანიზაციის საქმეში: ამ წუთშივე ავირჩიოთ ახალი გზა. ეს არ წავგვართმევს ჩვენ კონსპირატიულ აპარატს (რომლის აუცილებლობა მუშა-სოც.-დემოკრატებს კარგათ ესმით: ცხოვრებამ და რევოლიუციის მსუფლობამ ასჯერ უფრო ნათლად დაამტკიცა ეს, ვანემ სხვა და სხვა დადგინებამ და გადაწყვეტილებამ). ეს შეგნებებს ჩვენ ახალს, ახალგაზრდა ძალას იმ ერთად ერთ ნამდვილ რევოლიუციონურ და ბოლომდე რევოლიუციონურ კლასის გულიდან ამონახეთქს, რომელმაც რუსეთს ნახევარი თავისუფლება მოიპოვა, რომელიც სრულ თავისუფლებას მოუპოვებს მას, რომელიც თავისუფლების გზით სოციალიზმისკენ წაიყვანს მას.

ნ. ლენინი.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო.

რევოლუციის ქართველმა ისეთი ყოვლად-უმანკო სფერები ამოძრავა დღეს რუსეთში, რომელნიც მუდამ განთქმული იყვნენ თავისი კდემ-მოხილვებით ყოველივე კანონიერების წინაშე. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების დასახსნათებლათ დღემდის მხოლოდ ერთი რუსული თქმულება იყო საგამა: „ГИШЕ ВОДЫ, НИЖЕ ТРАВЫ“. მაგრამ საზოგადო ცხოვრება შეიცვალა, ადუღდა რევოლუციის ცეცხლზე და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმაც დააქუცეს მორცხვათ დაშვებული თვალები. მათ გაქირავებულ მდგომარეობაზე, აუტანელ ჯაფაზე და მუდამ ქაშან-წყვეტაზე ბევრი რამ დაწერილა ამ ბოლო ხანში, ბევრი ვინმე გამოასარღლებია ამ ჩაგრულთ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რომ წაძვეულ კაცს სხვისი შეძახება ვერაფერს უშველის, თუ თითონ არ ეცადა წამოადგომას. ეს უბრალო კეშმარტება მხოლოდ დღეს შეიგნეს დაბეჩავებული დაწესებულების დაბეჩავებულმა მოხელეებმა და თითონვე შეუდგენ თავიანთ თავის დახმარებას. მათ განიძრახეს კავშირის დაარსება და დაარსეს კიდევ, მაგრამ ვიტტეს მთავრობამ ბ. დურნოვოს და სევასტიანოვის განკარგულებით არა თუ კავშირის დაარსების ნება აუკრძალა მათ, არამედ სამსახურიდანაც დაიხიზა კავშირის სამი დელეგატი. ყველა ეს მოხდა „ლიბერალ“ ვიტტეს ახალი კაბინეტის სანქციით. მინისტრთა საბჭომ აუხსნა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც რუსეთის ყველა მცხოვრებთ ანიჭებს კავშირის თავისუფლებას, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, ანაირ უფლებას არამც და არამც არ აღძვს. ასეთი განმარტების სამართლიანობა ბ. ბ. მინისტრებმა თავისუფალ საფრანგეთის მაგალითითაც დაასაბუთეს, სადაც თურმე მთავრობის დაწესებულებათა მოხელეებს კავშირის დაარსება აკრძალული აქვთ კანონის ძალით. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება თუ მაგალითი იყოს ჩვენი მინისტრებისათვის, სხვა რამეშია ციხა მობაძვდენ მას და ამნაირმა განმარტებამ, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები; პირიქით, ანან უფრო ამხედრდა ისინი მთავრობის წინააღმდეგ. 17 ოქტომბრის მანიფესტით მოპოებულ უფლების წართმევას და ამხანაგების სამსახურიდან დათხოვნას მთელი რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა საერთო გაფიცვით გასცეს პასუხი. დღეს რუსეთში აღარ არსებობს ფაქტიურათ ეს ყოველივე კულტურული ქვეყნისთვის აუცილებელი დაწესებულება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას იქონიებს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და თვით ილაჯ-გაწყვეტილ მთავრობასაც მძიმე უღლათ დააწვება კისერზე. პასუხის მგებელი იგივე მთავრობაა და განსაკუთრებით კი ბ. დურნოვო და სევასტიანოვი, რომელთა უდიერ საქციელიდან ლოდიურათ გამომდინარეობდა ასეთი ნაბიჯი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა და მთავრობა კარგათ უნდა გრძნობდეს, რომ გაფიცულთა უფლებების აღდგენას, ბ. დურნოვო-სევასტიანოვის სამსახურიდან გადაყენებას და დათხოვნილ მოხელეთა სამსახურში მიღებას დღეს ფოსტა ტელეგრაფთან ერთათ მთელი რუსეთის ხალხი მოითხოვს...

ჯარის—კაცთა ცხოვრებიდან.

მეფის მთავრობის განსაცდელმა უკადურეს წერტილამდე მიახწია. „ვიტტეს რეფორმებმა“ ხალხი ვერ დააშოშმინა. პირიქით, ნიძვილი რევოლუციონური კლასი-პროლეტარიატი და რევოლუციონერი გლეხობა სასტიკი მუქარით აიშართა

თვითმპყობლობის ნანგრევების წინაშე და გადაქრით ეუბნება: ილოცე შენი სულისათვისო. ვის უნდა მიმართოს ასეთ საშინელ საგონებელში ჩავარდნილმა მთავრობამ? უპირველეს ყოვლისა რასაკვირველია „ტახტის ერთგულ ჯარს“... ჯარია ერთი ერთი ძლიერი მფარველი მეფის მთავრობისა, ჯარია ბჭე და იმედი თვითმპყობლობისა, დათუ ჯარმაც ზურგი შეაქცია მას და მხარი აღარ დაუქირა მაშინ მაშინ, „მშვიდობით სპანო ჯოლოსანო!“ მთავრობის „ჩარხი ბედ-უკუღმა გადატრიალდება.“ მთავრობის ძლიერება ჯარის ერთგულებით იზომება და ჯარის აჯანყება მთავრობის აღსასრულის მომასწავებელია; იმის თქმა, რომ დღეს ჯარი რევოლუციის მომხრეაო, ყოვლად შეწყნარებული ოპტიმისტობა იქნებოდა. მეორე მხრით, შეუწყნარებელივე პესიმიზტობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჯარია, როგორც მთლიანი ორგანიზაცია, დღეს მთავრობის ყურ-მოქირლი მონააო. ჯარის აჯანყებები, რომელნიც ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა და ბევრ ადგილას ფრიალ საშიშარი სახე მიიღო, აშკარათ მოწმობენ, თუ როგორ არის საქმე „ქრისტეს-მოყვარე მხედრობაში.“ უკმაყოფილება თან და თან იზრდება ჯარში, მღვდლარება ფართოვდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჯარის საგრძობელი ნაწილი რევოლუციისაკენ აშკარათ გაიწვეს და თავის სამსახურს შესთავაზებს.

რევოლუციის ნაპერწკალს სასურველი ნიდაგი დაუხვდა ჯარის-კაცთა ცხოვრებაში. რუსეთის სახელმწიფოში ხომ ყველა ქვეშევრდომი მონას წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი დასჯილი, დაჯანებული, ყოველივე უფლება-ართმეული და განმანქანებული აღამიანი, როგორც რუსი ჯარის-კაცია—ძნელათ თუ საღმე მოიპოვება. ასეთ ზნეობრივ დამცირებას დაუმატეთ კიდევ ფიზიკური და მატერიალური წვალება ჯარის კაცისა და ადვილათ მიხვდებით, რომ თუ ვინმეს ეთქმის რამე თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, სალდათი პირველი უნდა იყოს ასეთ პროტესტანტთა შორის.

მართლაც ვის აქვს იმდენი სათქმელი თავის გაქირავებაზე, ვის დაუხვევია გულში იმდენი ჭარ-ვარამი, ბრაზი და სიძულვილი, რამდენიც რუსის სალდათს. მოიგონეთ ნაძალადევის პირველი მიტინგები და ჯარის კაცების სიტყვები ამ მიტინგებზე და თქვენ ნათლათ გადაგვმლებათ თვალ წინ „ძღვევა—გოსილი მხედრობის“ ყოფა-ცხოვრების სურათი. აი რა ილაპარაკა ნაძალადევი 20 ოქტომბერს მიტინგზე სათადარიგო ჯარის კაცმა რუსმა: მე მივმართავ ამხანაგ-სათადარიგო ჯარის კაცს და მოვეუბნობ ისეთ, როგორ მომეპყრა მე თვითმპყობელობა. მე დარბ გლეხის ოჯახში დავიბადე. მშობლები მზრდი-ვაქირავებთ. ხშირათ ლუკმა პურიც მენატრებოდა. მათუხედავთ დაუღალავი შრომისა ჩემ მშობლებს არა მოეძეოდათ რა და თანაც ათასი გადასახალი კისერზე აწვა და ახრჩობდა. სწავლა მწყუროდა, მაგრამ თვითმპყობელმა მთავრობამ, რომლისთვისაც ჩვენი სიბნელე და გაუნათლებლობა ძლიერ ხელსაყრელია, ჩემთვის და სხვა-მილიონი ღარიბებისთვის სწავლა შეუძლებელი გახდა. მეცადინეობით და საკუთარი შრომით ვისწავლე მე წერა-კითხვა. უკიდურესმა სიღარიბემ მე სოფლიდან ქალაქში გამდენა. 15 წლის ვიყავი, ჯერ თითქმის ბავშვი, მაზა სიმშილი კუქს მიწვავდა და იძულებული გახდი ჩემთვის აუტანელი შრომა დამეწყო. მთელი ოთხი წელიწადი გამუდმებული ვშრომობდი და როდესაც ცოტა მოვსულეი-რდი, მოვმწიფდი, მუშაობის ძალ-ღონეც მომივიდა, როდესაც სიმშილის თავი დავახწეე და არავის დახმარებაში არ ვსაქიროებდი, მაშინ თვითმპყობელმა მთავრობამ მომიწოდა და სალდათად წამიყვანა—შენ აქამდის სუსტი და უსუსური იყავი, ეხლა ძალღონით სავსე ხარ და შენი მავარი მკლავები

და ჯანი მე გამომადგებოა—მითხრა თვითმპყრობელობამ. მომწყვია მუშაობას, ცხოვრებას, თავისუფლებას და კახარაში შემავდო; თოფი მომცა ხელში და მითხრა: „აი ამ თოფით შენ მე უნდა დამიფარო შინაურ და გარეულ მტრებისგანა“. ჩემი საუკეთესო ყმაწვილ-კაცობა, სიკბაბუე დახშულ ყაზარმებში გავატარე. ხუთი წელი „დისციპლინი“-ს და სამხედრო ვარჯიშობის მეტი არა მესმოდა რა. გავათავე სამსახური და ილაჯ-გაწყვეტილი ისევ სამუშაოს ძებნას შევედუქე. სალდათობის უღელს შრომის უღელი ჯობია და მეც სამოთხე წელიწადში სული მოვიტყევი, მაგრამ იმავე თვითმპყრობელობამ, რომელმაც ჩემი ყმაწვილობის საუკეთესო წლები წაშარბო, იმავე თვითმპყრობელობამ და გაუბძლარმა კაპიტალისტებმა იაპონიასთან ომი გამოართეს. „კიდევ მჭირხარა“ მითხრა თვით-მპყრობელობამ და ოც და ათი წლის კაცი მომწყვია ოჯახს, ცოლ შვილს და მანჯურიისკენ გამგზავნა, მაგრამ ჩემ იქ მისვლამდის საშინელი ომი კიდევაც გათავდა. მე ვიფიქრე: ახლა მაინც დამაბრუნებენ მეთქი სახლში, მაგრამ თვითმპყრობელობამ „შინაური მტრების გასანადგურლათ მჭირხარა“ მითხრა და თბილისში გამომგზავნა, მიმოითათა მუშა ხალხზე და მიბრძანა: ესროლე ამათ, დახოცე, ეს „ბუნტოვ შიკები“, სამშობლოს მოღალატეებიაო. არა-ამხანაგებო დამათავრა სალდათობა—მე კარგათ შევიგენ თვითმპყრობელი მთავრობის ხრიკები. სანამ მე არაფრის ვაკეთებდა არ შემეძლო ის მე ყურადღებას არ მაქცევდა, გადასახდით ახრიალდა ჩემ მშობლებს, სიბნელეში მზრდიდა მე, როცა მე დავმოწიქუდილი იმან წამიყვანა და ხუთი წელი მიმსახურა, მერე ისევ მისროლა და ქუჩაში მშვიერი გავაგდო, ფარაჯა რა არის, ისიც კი არ ვამომატანა; კიდევ დავჭირდი თავის დასაცავათ და კიდევ წამიყვანა, მარა აწ თვითმპყრობელობა მე ვეღარ მიმსახურებს, იარაღთ ვეღარ მიხმარს. მე ვიცი რომ ხალხი, რომელსაც თვითმპყრობელობა „ბუნტოვნიკებს“ ეძახის, სიპართლისთვის იბრძვის და თავისუფლებისკენ მიდის. თვითმპყრობელობა კი ხალხის ნადელი მტერია. მაშ ამხანაგებო: გაუმარჯოს მუშა ხალხს და ძირს თვითმპყრობელი მთავრობა.

20 ოქტომბ. ნაძალადევიდან წამოსულმა ხალხმა ავლაბრისკენ აიარა და გრუზინსკი პოლიცის ყაზარმებთან გაეჭრა. როცა სალდათები ყაზარმების კარებს მოაწყდენ, საპოლის ბატალიონის ერთმა სალდათმა ისევ რუსმა წითელი დროშა დაიკავა ხელში და შემდეგი სიტყვებით მიმართა გრუზინსკი პოლიცის სალდათებს:

ამხანაგებო! სალდათებო! რა გაცივრებთ მისჩერებხართ თქვენ ამ აუარება ხალხს, ამ წითელ დროშებს! ან იქნებ გჯერათ ჩვენი გბერილი (шугание) გენერლების სიტყვები, რომლებიც თქვენ გარწმუნებენ, რომ ეს ხალხი ჩვენი შინაური მტრებია? არ დაუჯეროთ ამხანაგებო, გენერლები ვატყუებენ, ეს, ხალხი თქვენს მტერს არ არის, ეს ტანჯული მშრომელი ხალხია, ამ ხალხმა ვერ გაუძლო შიმშილს, უსამართლობას, დამონაგებებს და თავისუფლებას ელტვის, თავისუფლება უნდა. ჩვენც სალდათებიც მშრომელი ხალხიდან ვართ გამოსული, მშრომელი ხალხის უბედურება, დამონაგება—ჩვენი, სალდათების უბედურება და დამონაგებაც არის; მათი ბედნიერება და თავისუფლება ჩვენი ბედნიერება და თავისუფლებაც არის. შეიგნეთ ეს ამხანაგებო! დამიჯერეთ ჩემი: ჩვენი მთავრობა თვალს გვიხვევს ჩვენ და საშინელ სისხლის ღვრას იწვევს. ბევრჯერ დავანთხიეთ ჩვენ ჩვენივე მოძმის უმანკო სისხლი მარა აწ ჩვენ მთავრობა ვერ მოგვატყულებს. ჩვენშიც, სალდათებშიც განდენ შეგნებული მებრძოლი და მოინდომეს სალდათებში შეგნების შეტანა, მაგრამ მთავრობამ ის ინი დაპატიმრება და დღეს, როცა ჩვენ ყველა, მშრომელი ხალხის ბრძოლით მო-

ბოებულ თავისუფლებას ვდღესასწაულობთ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგები ციხეში სხედან. ამხანაგებო! სალდათებო: მივბაძით ამ ხალხს და ჩვენც ამთსავით მოვითხოვით ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება! მივბაძით ამ ხალხს და ვიბრძოლოთ სრული თავისუფლებისთვის, ნულარ დასუფერებთ ჩვენ გენერლებს და მთავრობას, შევეუბოდეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მასთან ერთად ვიბრძოლოთ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისთვის. ხედავთ ამ წითელ დროშას, ამხანაგებო! თქვენ მთავრობამ ეს დროშები შეგაძლათ, მარა ეს წმინდა დროშებია, მშრომელი ხალხის სისხლით შეღებილი, აი ამ წითელ დროშას ჩვენი, სალდათების სისხლიც უნდა მოვმატოს. ჩვენც უნდა მივემზროთ ხალხს და თავისუფლებას თავი შევწიროთ. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას!

22 ოქტომბერს ნაძალადევიში, მიტინგზე სალდათმა (ისევ რუსმა) შემდეგი ლაპარაკი:

დღეს ჩვენ ვარჯიშობა უნდა გვექნოდა, მარა ჩვენი ყაზარმის წინ პატრიოტულმა მინფესტაციამ ჩაიარა. ჩვენ უფროსებმა ვარჯიშობიდან გავგანთავისუფლეს და გვითხრეს: გაპყვიეთ ყველამ მანიფესტანტებსო. თქვენ მიტინგზე წამოსვლა კი სასტიკათ აგვიკრძალეს. მაგრამ მე პატრიოტებს არ ვაყვიე და აქეთქენ გამოვეწიე. აი რა მოსაზრებით: პატრიოტებთან მთავრობა ძალით გვედნის, აქ მოსვლას გვიკრძალავს. აქ რაღაც საიდუმლოება მეთქი ვიფიქრე მოვედი აქ და მივხვდი საქმე რამაც არის. აქ ხალხი თავის გაჭირვებაზე მსჯელობს, მთავრობის წინააღმდეგ აპრობს მოქმედებას. მე ვიცი, რომ მთავრობა, ხალხთან დამნაშავეა და მინდა ეს ჩემ ამხანაგებს დავუბტკიცო. ამ მიტინგზე სამწუხაროთ, ცოტა სალდათები, მარა მე მაინც ვილაპარაკებ. აქ აფიცრებსაც ვხედავ ეს ალბათ სათადარიგო აფიცრებია, ჩვენსაკით ძალით წამოყვანილი. ვილაპარაკებ ჯერ იმაზე, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა ჩვენ სწავლა-განათლებლაზე. მე არაფერს ვიტყვი მდიდრების შვილებზე: ყველა გიმნაზიები და უნივერსიტეტები იმათ განკარგულებაშია, რადგანაც მათ შეძლება აქვთ და სწავლის ფულის გადახდა მათთვის ადვილია. ჩვენ კი, დარიბი გლეხების და მუშების შვილები გავნათლებლათ ვრჩებით. ფული არ მოგვეძევა და უფულოთ კი რუსეთში სწავლა არავის შეუძლია, მე ვაგონილი მაქვს, რომ ევროპაში და ამერიკაში არსებობს უფასო სასწავლებლები და შიგ სწავლა ყველასთვის სავალდებულოა. ამ გვარზე სასწავლებლები უნდა მოვითხოვოთ ჩვენც რუსეთში. ვაგონილი მაქვს აგრეთვე, რომ ევროპაში და ამერიკაში სალდათებისთვის სკოლებია დაარსებული და ბევრ მათგანის პროგრამაში საშუალო სასწავლებელს პროგრამას უდრის. ჩვენ კი, რუს სალდათებს, არა თუ არაფერს გვასწავლიან, ხერხიანი წიგნების კითხვისთვის გვედენიან და გვეცმენ უფროსები. „დისციპლინა“, აი რა არის ჩვენი სწავლა შეცნიერება. თუ სალდათი გენერალს „ფრონტი“ რიგინათ არ გამოეკიმა იმას 15 დღით „კარცერში“ ჰგზავნიან, თუ სალდათმა აფიცრს „ჩესტი“ ისე არ გაუყვია, როგორც უნდა, თუ თითები ცოტა ვანზე დაუბრა გაწეული, აფიცერი უწმინდური სიტყვებით ლანძღვას დაუწყებს და თუ მოსურებს „კარცერშიც“ ამოაყოფინებს თავს. „სწავლის“ დროს ჩვენ სულ შინაური მტრებზე ვგიჩიჩინებენ, და რაღაც ზღაპრებით ტუინს გვიბნელებენ. ერთათ ერთი გზა განათლებისკენ—ეს თვით განვითარებ. მაგრამ ახლანდელ რუსეთში თუ დიპლომი ხელში არ გიჭირავს ისე შენ ვანათლებას და განვითარებას არავინ ყურადღებას არ აქცევს და ამიტომაც საუკეთესო ადგომები დიპლომიანებს, ესე იგი შე-

ძღულებს, ეძღვებათ. შეძლებულები კი მარტო თავისი კუქისთვის ზრუნავენ და ღარიბი ხალხის არა ესმით რა, რადგან იმათი გაჭირვება არ გამოუტყდათ. ახლა გადავალ ჩვენ პირდაპირ მთავრობაზე: გენერლებზე და აფიცრებზე. თუმცა მე მანჯურიაში არ ვყოფილვარ მაგრამ იქაური ამბები და წერილებით ვიცი. ვიცი რანაირათ დაიტანჯენ და დაიხოცენ იქ ჩვენი ძმები—საღდათები და რა უსინდისოათ იქცეოდნენ აფიცრები და გენერლები. საღდათები მანჯურიაში აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ: არც საქმელი, არც სასმელი, არც ბინა, არც ტანსაცმელი მათ ხეირიანი არ ჰქონდათ. ან კი რა გასაკვირალია, როცა ყველა ის მილიონები, რომლებიც რუსეთში ომს დაიხარჯა გენერლების და აფიცრების ჯიბეში ჩაიღობა, მერე საიდან იშოვა ჩვენმა მთავრობამ ეს მილიონები: ჩვენზე ხალხის ნაშრომი ფულებით იყო სავსე ხაზინა, რომელიც ახლა მთავრობის მახელებსაგან ვაცარკულია. გაოდა იმისა, რომ აფიცრები და გენერლები იტაცებდნენ ხალხის ფულებს, ისინი ბრძოლის ველზედაც სამარცხვინოთ იქცეოდნენ. როცა საღდათები ასი ათასობით იღუპებოდნენ; ჩვენი გენერლები ბრძოლის ველიდან რამდენიმე ვერსტის მანძილზე იყვნენ დაშორებული და როცა შეატყობინებდნენ იპონელები მოდიასო, ქუდ-მოვლევადი გარბოდნენ. საღდათების საჩიხს და ტანსაცმელს იპონელებს უტოვებდნენ. მე მოგიყვებით თქვენ როგორ იქცეოდა განთქმული „გმირი“ სტესელი. ცხადია რომ როცა პორტ-არტურს იპონელები შემოერტყნენ, ქალაქის მცხოვრებლები გაიხიზნენ და სახლები ცარიელი დასტოვეს. გენერალ სტესელის სრულ განკარგულებაში იყო მთელი პორტ-არტურის ცარიელი სახლები. აი ამ დროს გენერალი სტესელი ბინისათვის (квартиრные) ცალკე ფულს თხოულობდა და რამდენიმე ათას მანეთს იღებდა ტყუილ-უბრალოთ. ცხადია ავგოთვე ისიც, რომ გენერალი სტესელი სულ ერთ და იმავე ადგილას იყო (ბევრიც რომ მოენდომებია ვერსათ წავიდოდა) და, როგორც ახლა ვადმოგვცემენ, უმეტეს ნაწილათ სულ სახლში იჯდა. პეტერბურგიდან კი, სხვათა შორის, საგზაო ფულსაც (на разъезд) იღებდნენ აუტანელ მდგომარეობაში იყვენ პორტ არტურის საღდათები, რამდენი შიმშილისგან და სიცივისგან დაიხოცნენ, რამდენი ქუაზე შეცდა, დანარჩენები ბრძოლამ იმსხვერპლა, შინ კი იმავე საღდათებს ცოლ-შვილი და ოჯახი, მუშა ხელს მოკლებული, შიმშილით ეხოცებოდა. მოკლულ აფიცრების და გენერლების ოჯახებს პენსიას უნიშნავენ. მოკლულ საღდათებს დატაკი ოჯახი კი უბატონოთ, ულუკმაპუროთ რჩება. იპონიის ომმა რუსეთის მშრომელი ხალხი ვადატაკა, ნახევარ მილიონამდე მშრომელი ახალგაზდები წაართვა, სტესელისთანა გენერლებს კი ჯიბეები გაუსქელა. მე დანამდილებით ვიცი, რომ სტესელი აუარება „ნადავლით“ ავსებდა რუსეთში მომავალ ვაგონებს, საღდათებისთვის კი ვაგონებში ადვილი აღარ რჩებოდა და ისინი მატარებლის ბორბლებზე ჯდებოდნენ. ამხანაგებო, საღდათებო! ჩემი სიტყვებიდან თქვენ ნათლად დაინახავთ რომ მთავრობა ჩვენ სულს გვხდის, ის ჩვენი მტერია, ის ხალხი კი, რომელიც მთავრობას ებრძვის სამართლიან გზას ადგია. მაშ ვის უნდა დავებმარათ ჩვენ და ვის წინააღმდეგ უნდა ვიბძოლოთ? ჩვენ უნდა შევეუბრთდეთ ხალხს და უნდა ვებრძოლოთ მთავრობას. მაგრამ უმეტესი ნაწილი საღდათებისა ჯერ კიდევ ვერ მიხვდარა საქმე რაშია, რადგანაც მთავრობა ავანებს საღდათებს, ვითომც ეს ხალხი მათი მტერი იყოს. მთავრობას ვანგებ მოჰყავ რუსეთიდან აქ საღდათები და აქედან კიდევ იქ აზვანის. იმიტომ რომ, რაც უნდა იყოს ჯარი თავის სოფელში თავისავე ნათესავებს და მგზობლებს არ ესყრის თოფს. ამით ვთავებ მე ჩემ სიტყვას

ამხანაგებო, საღდათებო! ნუ დაგაფიცვებთ რომ მთავრობა ჩვენი მტერია, ხალხს კი თავისუფლება სურს. მაშ ძირს ჩვენი მთავრობა! გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას!

13 ნოემბერს ვერაზე, მიტინგზე საღდათმა ურიამ შემდეგი ილაპარაკა. მე მინდა შეგატყობინოთ თქვენ—მიმართა იმათ ხალხს რა აუტანელ მდგომარეობაში ვართ ჩვენ საღდათები. 18 ოქტომბერს, როცა მთელი თფილისის მცხოვრებლები თავისუფლების მოპოვებას დღესასწაულობდნენ მორიგ დარაჯათ ვიყავ და თოფით ხელში ერთ ადგილას ვაუბრებო ვლათ ვიდექი. როცა მშრომელი ხალხი წითელი დროშებით მეც ამაძგერა გული მეც მინდოდა შევერთებოდი ჩემს ძმებს და ამხანაგებს მარა არ შემიძლო—სასტიკათ დამსჯიდნენ. წითელი დროშის და ხალხის დანახვაზე მე მხოლოთ ცრემლებს ვაფრქვევდი და ამით ვაცხადებდი ჩემ სიხარულს. იქვე იდგნენ კაზაკები და სათადარიგო ჯარის კაცები. კაზაკები იძახოდნენ: ერთ ნეტავ ნებას მოგვცემდნენ, რომ წავიდეთ ამ ხალხს შავი დღე დავყენოთო მე მინდოდა დამემტკიცებია კაზაკებისთვის, რომ ხალხთან ასეთი მოპარობა მხეცობაა და რომ ხალხი სამართლიანათ დღესასწაულობს თავისუფლების მოპოვებას, მარა იქვე მდგომმა სათადარიგო ჯარის კაცმა შემომიძია: უუ შე ყობო (жить)! შენ ეს გიხარია, მე კი გულს მიკლავსო. მაშინ მე აუხსენი იმათ, რას ითხოვს ხალხი და ვუთხარი, რომ ჩვენ მთავრობა ჩვენსავე ძმებს და ამხანაგებს გვახოცინებს ზოგმა შეიგნო და დამიჯერა ზოგი კი მუქარით იწვედა ჩემსკენ და მეუბნებოდა: აი შე ყობო შენა! შენ პირველი „ბუნტოვშიკი“ ხარ მე შენ ცხვირ პირს ჩავამტერეო და სხვ. კაზაკებმა ხალხს თოფის კონდახით ცემა დაუწყეს, მე მინდოდა ისინი დამემშვიდებინა ამ დროს ერთი კამანდირის ცოლი მოგვიახლოვდა და რომ შეიტყო რაში იყო საქმე საშინლათ გამიჯავრდა, კაზაკებს კი მადლობა უთხრა. იმ დამსვე პოლკოვნიკის ცოლმა უფროსთან დამასმინა და უფროსმა სასტიკი საყვედური გამომიცხადა მე. კაზაკებს კი მადლობა გადაუხადა. 22 ოქტომბერს, როცა გოლოვინის პრისონებზე საშინელი სისხლის ღვრა იყო, მე იქ ვიდექ მორიგ დარაჯათ და ისევ იძულებული ვიყავი. ყველა იქ მომხდარ უბედურებისთვის გულ-გრილათ მეცქირა. მე დანამდილებით შემომიძია ვთქვა, რომ ყველაფერი ხულიგანებმა ასტეხეს და ამდენი სისხლი უბრალოთ დაიღვარა. არავითარი ყუმბარა არ უსროლია არავის. 22 ოქტომბრის მერე ორი დღე არც მიძინია არც მისვამს და არც მიქამია რა; საშინელი სურათი თვალწინ მედგა და მოსვენებას არ მაძლევდა. სხვა ქალაქებიდან მოსულ ტელეგრაფებშიაც იმავე ვკითხულობდი, ოდესაში უარესი ამბებიც ჩაუდენიათ ხულიგანებს. როცა სათადარიგო ჯარის კაცებმა ოდესის ამბები წაიკითხეს თქვენ: აი მარჯვე ისინი ყოფილან, ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავითო. მე ვეცადე დამერწმუნებია, რომ ისინი ცხებოდნენ და ამდენი სისხლი ტყუილა უბრალოთ დაიღვარა. ზოგმა მომისმინა, ზოგმა ისევ მუქარა და ლანძღვა დამიწყო და „ყობო“ ურიას და „ბუნტოვშიკს“ მეძახდნენ. ამ დროს დამთვრალი უნტერ-აფიცერი მომიახლვდა და მითხრა; თუ არაყის ფულს (на водку) მომცემ არაფერს გერჩი, თუ არა—უფროსთან დავაბნებლებო“. აბა მე ფულს საიდან ვიშოვიდი? ამ დროს უფროსიც გამოჩნდა. უნტერ-აფიცერი ბარბაცით მიუახლოვდა და უთხრა: თქვენო კეთილშობილებავ; ეს საღდათი „ბუნტოვშიკია“ო. მიუხედავთ იმისა რომ უნტერს სიმთვრალე ძალიან ეტყობოდა, უფროსი მაინც მე მომპარდა და ისეთი უწამაწური სიტყვებით დამიწყო გინება, რომ გამეორებაც მერიდებდა. ასე დაჩაგრული მარტო ჩვენ ვართ, სათადარიგო ჯარის კაცებო უფრო თავისუფლათ იქცევინ,

რადგან შთაერობას ემანია მაი: ამ დღეებში კონკრეტულად მივდივართ. ჩემთან ერთობით სამი სათადარიგო ჯარის კაცი იჯდა. ვგონებ იფიცერი შემოხტა და დამჯდარი რომ დამინახა შემომიტია: როგორ გაბედე დაჯდომა, წადი ახლავე და უკან გაიხრდიო. მე ვიცოდი, არაფერი გამივიდოდა და ბრძანება ავასრულე. აფიცერი ახლა სათადარიგო სალდათებს მიუბრუნდა და იმათაც უკან გაიხრება უბრძანა. სალდათებმა სიტყვა შემოუბრუნეს. აფიცერმა ყვირილი და მუქარა დაუწყო. მაშინ სალდათებმა აფიცერი ვაგონიდან გადმოაგდეს და ფეხით გაისტუმრეს, თითონ კი კონკრეტულად გასწიეს. ნახევარ წელიწადზე მეტია რაც მე ცარიელ ფიცრებზე ვწევები. ფარაჯაც სათადარიგო სალდათმა მომპარა და არაყში გამიყიდა. როცა ვთხოვლობ ქვეშაგებს და ფარაჯას „დღეს-სხვად“—იობით მისტუმრებენ, საქმელ-სას-სელს ნულარ იტყვიან, ისეთი გვაქვს, რომ ძაღლიც არ სკამს. ამას წინეთ რომ ამაზე კონკრეტულად დავძარი, კინაღამ მომკლეს. ჩვენი მდგომარეობა სწორეთ აუტანელია—დათავა სალდათ-მა—თქვენ თავისუფლათ ლაპარაკობთ მაინც აქ, ჩვენ კი ამასაც გვიკრძალებენ. მოითხოვეთ ამხანაგებო, მიმართა სალდათმა ხალხს—რომ სალდათებსაც ჰქონდეს მიტინგების გამართვის ნება და მაშინ ჯარის უმეტესობა მიხვდება, რომ თქვენ მართალი ხართ და ხალხს დაენმარება. გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმყრობელობა!

ვინც აქაურ მიტინგებს ესწრებოდა შეამჩნევდა, რომ სალდათები სულ უფრო და უფრო ბლომათ მოდიან მიტინგებზე და დიდი ყურადღებით უსმენენ ორაჯორებს.

საზღვარეულო კავშირის პირველი კრება მოსკოვში.

ყველასთვის ძნელი გამოსაცნობი იყო. თუ რა როლს ითამაშებდა ან რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთის გლეხ-კაცობა დღევანდელ რევოლუციისაში. რუსეთის დიდ-ძალი გლეხობა გაქირვებაში და აუტანელ პირობებში აღზრდილი, კულტურულათ ყველაზე უფრო საზოგადოების ყველა კლასებზე დაქვეითებული და ჩამორჩენილი ნაწილი იყო. მართალია, უზომო გაქირვება და აუტანელი ცხოვრება ხშირათ ხდებოდა რუსეთის გლეხობაში აჯანყების გამოწვევებ მიზეზათ, მაგრამ, საუბედუროთ, ეს აჯანყება არასოდეს არ ყოფილა მიმართული გლეხ-კაცობის გაქირვების ძირითად მიზეზების წინააღმდეგ, პირ-იქით, გლეხები, უნებლიეთ, რასაკვირველია, იბრძოდნენ იმ პირობების შესანარჩუნებლათ და გასამაგრებლათ, რომლებს გამო ისინი იტანჯებოდნენ. რა თქმა უნდა გლეხობას ასეთი გაქირვებული და აუტანელი მდგომარეობა უყურადღებოთ არ იყო დატოვებული იმ მოღვაწე და მომქმედ ჯგუფებისაგან, რომლებიც ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდნენ. მაგრამ, საუბედუროთ, თითქმის ყველა ამათვის გლეხობა რა-ღაც გამოუცნობი ამოცანა იყო: ყველას ეგონა და დარწმუნებული იყო, რომ გლეხობა იმათ რჩევა-დარიგებას დაი-ჯერებს, ვისაც მისთვის ნამდვილი ბედნიერება წაღიაო. სამწუ-ხაროთ, ასეთი იმედი არა ერთხელ ვაცრუებულა. გლეხობის მისწრაფებასა და სხვა რევოლუციონურ მოღვაწეთა მის-წრაფების შორის დიდ ხანს საერთო არაფერი არ იყო. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა პროლეტარიატის მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა კლასობრივ განხეთქილე-ბის ნიადაგზე. ამ მოძრაობამ შეანძრია თანამედროვე წეს-წყობილების საფუძველი. გლეხობაში ეს მოძრაობა ვერ პო-ულობდა თანაგრძობას; მას არ ესმოდა ამ მოძრაობის დი-ღებულები მიზანი, იგი მაინც ძველ ღობეებში: მიწა და ნე-ბა, ხედავდა თავის ხსნას. ბოლოს გლეხობაც დაიძრა, მუშა-

თა მოძრაობა იქაც გადავიდა, მხოლოდ სხვა სახე მიიღო. მაგრამ გლეხობის მოძრაობას მაინც არ აჩნდა შეგნებულება, ე. ი. პროლეტარული მოძრაობის ნიშანი, მას კიდევ სტიქი-ური ხასიათი ქონდა და დღესაც აქვს*). ამ დროს გაიძმა, რომ გლეხებში დგება ცალკე ორგანიზაცია, ე. ი. საგლეხო კავშირიო. ამ რამდენიმე თვის წინეთ კიდევაც მომხდარიყო გლეხების კავშირის დამფუძნებელი კრება მოსკოვის მახლობ-ლათ. ოქტომბრის ამბებამდის, გლეხების კავშირის ორგანი-ზაცია ფარული იყო. ახლა კი როცა ყველა ასეთი ორგა-ნიზაციები აშკარა მოქმედებს იწყებენ, საგლეხო კავშირშიაც გამართა მოსკოვში თავისი კრება. ეს კრება მოხდა იმ დროს, როცა მოსკოვშივე ამნაირივე კრება ქონდათ საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა მოღვაწეებს, ე. ი. ბურჟუა-ლიბერალური და მიწათ-მფლობელობათა პარტიების წარმო-მადგენლებს: თავის თავთ იკულისხმება, რომ ყველა ეს ელემენტები, რომლებაც დღეს უკან იწვევენ და „წესიერების პარტიებს“ აარსებენ პროლეტარიატის და საზოგადოთ მიუღ-მშრომელ ხალხის წინააღმდეგ, ყოველ ღონისძიებას იხმარ-დენ, რომ გლეხობის მოწინავე რაზმი, ე. ი. გლეხობის კავშირი, თავისკენ მიემხროთ და რევოლუციონურ პროლე-ტარიატის გავლენისაგან დაეხსნათ. ცნობილი მოღვაწეებია გუკოვის მეთაურობით მართლა ასე მოიქცენ. მაგრამ, რამდენ-ნათაც გლეხების დადგენილებიდან ჩანს, ბურჟუა-ლიბერალე-ბის და მიწათმფლობელ კლასების მეცადინეობას ამათ ჩაუე-ლია და გლეხების მოწინავე რაზმი უფრო რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ტაქტიკას და ლოზუნგებს უფრო-დებდა. მოგვყავს აქ ეს დადგენილება.

1. ხალხის გაქირვება, რომელიც მიწის სიმცირისაგან წარმოსდგება, მოისპობა მხოლოდ მიწის ხალხის ხელში გა-დასვლით იმ პირობით კი, რომ ამ მიწათ უნდა ისარგებლოს მხოლოდ მშროაელმა ხალხმა, ე. ი. იმან, ვინც თვითონ თავის ოჯახობით ან სხვასთან კავშირით დამუშავებს.

2. სამართლიან და ხალხის სასურველ მიწათ-მფლობე-ლობის დამყარება კანონმდებლობის გზით შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, მოწვეულს სახელმწიფოს ძირითად კა-ნონის შესამუშავებლად. დამფუძნებელი კრება უნდა მოწვე-ულ იქნას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით სქესის, ხალხისნობის და სარწმუნოებას განურ-ჩევლად. თითო წარმომადგენელი ამორჩეულ უნდა იქნას 100 ათას კაცის მიერ არა უეციანეს 1906 წლის თებერვლისა. კანონი დამფუძნებელ კრების მოწვევისა უნდა დაუყვანებლად გამოცხადდეს.

3. დამფუძნებელმა კრებამ უეცეველად უნდა გადასწყვი-ტოს საადგილ-მამულო საკითხი ხალხის სასარგებლოდ და იმის სურვილის თანახმათ.

4. გლეხობა თავ-მოყრილი სრულიად რუსეთის კავშირ-ში, შესძლებს თავის სურვილის დაკმაყოფილებას დამფუძნ-ებელ კრების მოწვევის შესახებ.

5. რათა გლეხობის მოქმედება და ბრძოლა უფლებებისა და მიწისათვის სწორე გზას არ ასცდეს და ვისიმე შეცდომაში გლეხთა ინტერესებს არ ავნოს, გლეხთა კავშირი კისრულობს ამ საქმის ხელმძღვანელობას. კავშირი შეუერთდება ჩვენ ძმებს ქალაქის ქარხნების და ფაბრიკების მუშებს, რკინის გზის და სხვა კავშირებს და ორგანიზაციებს, რომელნიც მშრომელ ხალხის ინტერესებს იცავენ.

6. ამ ყამად კი კავშირის საბჭომ შემოუშავა ზომები,

* უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენ აქ მხოლოდ რუსეთის გლეხობა გვყავს მხედველობაში.

რომლის მეოხებით მიწა რაც შეიძლება მალე ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, და დაადგინა: ა) გლეხობამ არ იყიდოს მიწა მესაკუთრეთაგან. ბ) არ აიღონ იჯარით მიწა; გ) არავითარ პირობით არ შეეკრას მემამულეებს. დ) თუ ვინცოდა ხალხის მოთხოვნა არ შეასრულეს, გლეხთა კავშირი მიჰმართავს საერთო გაფიცვას: არ მისცემს მუშას მემამულეებს და ამ გვარად შეაჩერებს მათ მამულში მუშაობას; საყოველთაო გაფიცვისთვის გლეხობა კავშირს დაიქერს მუშათა კლასთან. კავშირმა უნდა იზრუნოს სოფლის მოჯამაგირეთა საზრდოსთვის გაფიცვის დროს.

7. კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ თუ მთავრობა დედნას დაუწყებს გლეხთა კავშირს, რომელიც ცდლობს განახორციელოს ხალხის მოთხოვნა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით, კავშირი შესწყვეტს გადასახადების და ჯარის მიცემას, გამოიტანს შემნახველ კასებსა და ბანკებიდან თავის თანხებს და გლეხთა კაპიტალს და დახურავს არყის ლუქნებს.

8. იმის ნიშნად, რომ გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება თავის დაწყებულ საქმეს წმიდა საქმედ სთვლის, კრებამ დაადგინა: მოსპოს არყის სმა. გლეხობა, რომელიც უფლებებისა და იწისათვის აბრძვის, უნდა ყოველთვის ფიზიკური იყოს.

რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ამბების დაკვირვებით კრება აცხადებს: ჩვენ წინ და წინვე ვიცით, რომ თუ არ შესრულდა ხალხის მოთხოვნა, რუსეთში თავს იჩენს დიდი მღელვარება. ეს მღელვარება გამოიწვევს ხალხის საყოველთაო აჯანყებას, რადგან აიგისო გლეხობის მოთმინების ფიალა.

10. გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება ერთხმით აცხადებს, რომ 10 ნოემბრიდან დაწყებული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არც ერთ მომავალ სახელმწიფო სესხს ძალა არ ექნება და ხალხი უარს ამბობს ამ სესხის გასტუმრებაზე.

პირდაპირობა და ორპოფობა.

წერადი მუთუ და უგანასეყო.

ამნაირათ ჩვენ დაინახეთ, რომ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის პირველ წერილში თავად-აზნაურობის და გლეხკაცობის ურთიერთშორის უარყოფს განხეთქილებას, ინტერესთა წინააღმდეგობას, რაც იმავე დროს ნიშნავს კლასობრივ ბრძოლის უარყოფას. გარდა ამისა იმავე წერილში იგი აღფრთოვანებით ეგებება ეროვნულ ავტონომიას, რომელსაც უქვეშევრდომილესი აღრესებით თხოულობდნენ იმერ-ამერის თავად-აზნაურობა და ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ასეთი აუო ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილის პირველი გამოცვლა ლიტერატურულ ასპარეზზე. ასეთი იყო მისი ვერეთ წოდებული profesion de eot. ქართველ თავად-აზნაურობის დიდი ღვაწლის მიწვევა და მემამულეებსა და გლეხებს შორის ყოველგვარი განხეთქილების უარყოფა, აი მოკლეო როგორი იყო ჩვენი ავტორის პირველი ნაბიჯი ამ ასპარეზზე. მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი ბოლომდის ვერ შერჩა ამ პოზიციაზე. მას იმ თავივით ეტყობოდა რყევა და ორპოფობა, რაც ამტკიცებდა მის შეხედულებათა გამოურკვევლობას და განუსაზღვრელობას ის თითქო სინჯავდა ნიადაგს, და თუ შემთხვევა იქნებოდა და საქრობად მოითხოვდა, იგი გამოიცვლიდა თავის შეხედულებას. ამის ლოდინი დიდ ხანს აღარ დაგვიჭირდა. შემდეგ წერილში (იხ: „ივერია“, № 192: კლასობრივი ანტიგონიზმი და საერთო ინტერესები) ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი აშკარათ აღიარებს კლასობრივ ბრძოლას და გადაჭრით ამბობს: „კლასთა ბრძოლა გარდაიქცა იმ ბორბლათ, რომლის გარშემო ტრიალებს კაცობრიობის მთელი ისტორია“ „რომ ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ცილა ადგილი, სადაც

შეიძლებოდეს ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთმანეთს სულა გაუერთოს, ან მოიპოვება ანც ერთი სფერო, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივ ანტიგონიზმის დაეწყება, კლასობრივ თაღათა ხედვას წერტილის მიტოვება: უოველ ივე საქმე, უოველივე საკითხი შეუძლებლათ ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას, და თავის ახსნა გამაჩტებას მიუცნალებლათ ზოულაბს კლასთა ბრძოლის ქარტეჯსმა“. ამ ნაირათ აქ ყველაფერი შეტრიალებულია. თუ პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი ხმა მალდა გაიძახოდა, რომ თავდა-აზნაურნი და ლეხები ძმები და ამხანაგები არ იან, რომ იმათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ, ერთი სიტყვით, იმათი ურთიერთობის ახსნა-განმარტებისათვის საჭირო არ იყო კლასთა ბრძოლის თვალთა ხედვის ისრით ხელმძღვანელობა, ახლა იგი გადაჭრით გვეუბნება, რომ არ მოიპოვება არც ერთი სფერო, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივი ანტიგონიზმის დაიწყება“. რომ ყოველივე საკითხი მიუცილებლათ ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას და სხვ. პირველი წერილის დაწერის შემდეგ გავიდა რალაც თვე ნახევარი, და ნუ თუ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესაძლებელი იყო, რომ ბ-ნი დარჩიაშვილს ასე შეეცვალა თავის შეხედულება? ჩვენ ეს შეუძლებლათ მიგვანინა, ვინაიდან ის, რაც აღამიანს წლების განმავლობაში უსწავლია და შეუთავისებია, შეუძლებელია რომ ერთი თვის განმავლობაში უკუაღდოს. შეიძლება ბ-ნი დარჩიაშვილმა ჩვენი მსჯელობა ზოგად ფრახებად მიიღოს, ამიტომ მოვიყვანოთ მაგალითი.

პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი სხვილ მემამულეებს ე. ი. „გონებრივათ ქუმარიტ აზნაურებს“ ას იცვდა გლეხების თვალში: „ვთქვათ დიდ უმრავლესობას (იგულისხმება: თავად-აზნაურობისას) კი მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრათ, გამოუსადეგარათ ეგდება, ან არ შემძლება ის ამოვადებინო, რის მოცემაც მას შეუძლიანო... ამით ბ-ნი დარჩიაშვილი გლეხებს აი რას აგონებდა: მართალია თავად-აზნაურებს დიდ-ძალი მამულეობა აქვთ, მაგრამ რაოხრათ უნდათ მათ ეს მამულეობი, როცა თავად-აზნაურებს, მემამულეებს, ამისგან არაფერი სარგებლობა არა აქვთ, ე. ი. სულ ერთია მამული გინდ გქონებია, და გინდ არა: ამ მხრით შენ, უმიწაწყოლო გლეხო, დიდი მემამულე ვერაფრით ვერ გჯაბი; იგიც დატანჯულია და შენც. „თქვენ ორივე ერთ ტაფაში იწვიეთ! მეორე წერილში კი ბ-ნი დარჩიაშვილი წერს: „მოგესხენებათ, როგორ დრტვინვასა და ვიშ-ვიშს ეძლევიან ხოლმე ჩვენი მემამულენი და მეურნენი, როდესაც ეცემა ღვინისა, ან სულადის ფასი. ასე რომ იაფი პური და ღვინო-მუშაკთა ღვთის წყალობა, ნამდვილი ღვთის წყრომაა მემამულე-მეურნეთათვის“. ერთი სიტყვით, პირველსა და მეორე წერილს შუა სრული, აშკარა წინააღმდეგობაა, რით უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? ჩვენი აზრით ასეთი წინააღმდეგობა შემთხვევით ვერ აიხსნება. ბ-ნი დარჩიაშვილი თვე ნახევარში ვერ შეიცვლიდა ასე თავის შეხედულებას. ჩვენი აზრით, ბ-ნი დარჩიაშვილს აქამდის ვერ შეუშუშავებია თავისი შეხედულება, ვერ გამოურკვევია ის გზა და ის მიმართულება, რომელსაც იგი ცხოვრებაში უნდა დასდგომოდა.

მორე მხრით თუმც ბ-ნი დარჩიაშვილი აღიარებს კლასთა შორის ბრძოლას, თუმც იგი გადაჭრით ცნობს კლასობრივ ანტიგონიზმს და „ყველა საკითხი, მისი აზრით, თავის ხსნაგანმარტებას მიუცილებლათ პოულობს კლასთა ბრძოლის ქარტეჯსში“. მაგრამ ამ ბრძოლაზე მას სრულებით თავისებური წარმოდგენა აქვს; მის გონებაში ეს ბრძოლა

იხატება არა ისე, როგორც ეს სინამდვილეში, ცხოვრებაში ხდება, არამედ სულ სხვა წიარათ. ბ-ნი დარჩიაშვილი სამარ-თლიანათ შენიშნავს, რომ „კლასთა ბრძოლის საგანია არა პიროვნებათა მოსპობა, არამედ ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი წესწყობილება, მთელი სოციალური ორგანიზაცია“ მაგრამ სრულებით გაუგებარია შემდეგი მისი სიტყვები: ამას, ე. ი. საზოგადოებრივი წესწყობილების მოსპობას, ვერ მიწოდებ ვერც ცეცხლით და ვერც მახვილით. ძველი წყობილება რამ დასიგურეს და მის ნაცვლათ დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელია პირობაა სოციალურ კლასებს განუხილეს მისი მოხდეს მისი მოხდეს რეჟიმისა: აქ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ერთი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა საგანს, ორ სხვადასხვა საკითხს: ერთი მხრით კლასობრივი ბრძოლის გამობატლებას, მის ფორმას; და მეორე მხრით გარეგან საზოგადოებრივ წესწყობილების, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერ თობის ცვლილებას. კლასობრივი ბრძოლის საფუძველს შეადგენს კერძო საკუთრებას არსებობა და საზოგადოების წევრების მოწინააღმდეგე ჯგუფებათა წოდებათ დაკლავება. საზოგადოებრივი წესწყობილება დამოკიდებულია საწარმოვო ძალთა მდგომარეობაზე; იგი დაყრდნობილია ნივთიერ საფუძველზე; მისი ცვლილება დამოკიდებულია ნივთიერი წარმოების პირობების ცვლილებაზე. ასეთი ცვლილება ერთბაშით არ ხდება, ნელ-ნელა მზადდება და როცა ნივთიერი პირობები უკვე საკმარისათ მომწოდებულია, მაშინ მოხდება ის, რასაც რევოლიუციას ვუწოდებთ. ბ-ნი დარჩიაშვილი რევოლიუციას და კლასობრივ ბრძოლას ურევს ერთმანეთში, და ამასთანავე თვით რევოლიუცია მას მიაჩნია, როგორც შედეგი გონებაში მომხდარ ცვლილებისა. ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლათ დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელი პირობაა სოციალურ კლასებს განუხილეს მისი მოხდეს მისი მოხდეს რეჟიმისა: აქ გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი. როგორც ხედავთ, აქ იგი ნივთიერი პირობების ადგილას გონებას აყენებს. მისი წარმოდგენით, საზოგადოებრივი წესწყობილება რომ შეიცვალოს, ამისთვის საჭიროა ჯერ გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუცია. ასეთი შეხედულება კი წმინდა იდეალისტურ-სუბიექტიურია, რომელიც კი ხანა უარყოფილია საზოგადოებრივ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, ბ-ნი დარჩიაშვილს არ შეუძლია ეს არ იცოდეს, მაგრამ ასეთი იდეალისტურ-სუბიექტიური შეხედულება ისტორიაზე მისთვის საჭირო იყო იმის დასამტკიცებლათ, რომ კლასობრივი ბრძოლა თანდათან „რბილი, მშვიდობიანი და კულტურული ხდება“ „რამდენათაც განვითარებულია ეპოქა და მალა დგას სოციალურ ჯგუფების კლასობრივი ცნობიერება, იმდენათ ხსენებული საშვალეები და ფორმები (სოციალურ ცვლილების) უფრო რბილია, მშვიდობიანი და კულტურული: პირიქით, რამდენათაც განვითარებულია ეპოქა (საზოგადო ცხოვრება) და რამდენათაც დაბლა დგას კლასობრივი ცნობიერება, იმდენათ კლასობრივი ბრძოლის ფორმები სასტიკია, მკაცრი, ბარბაროსული. ამ ქეშ-მარტებს ნათელ ყოფს დღევანდელი ევროპა და ამერიკა, ერთის მხრივ, და ოსმალეთი და რუსეთი, მეორეს მხრივ“. დავენებოთ თავი იმას, რომ აქ კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოებრივ წესწყობილებაში რევოლიუციის მოხდენა ერთმანეთში დომხალივით არეულია. ბ-ნი დარჩიაშვილს უნდა ვკითხოთ: რა აქვს აქ მის მხედველობაში: სინამდვილე, წარსული ცხოვრება, ისტორია, თუ მარტოდენ თავის ოცნება? რომელი „მომწინავე სოციალურ ჯგუფები“ უყვანს მის მხედველობაში, რომლების „კლასობრივ ცნობიერების განვითარებაზე“ დამოკიდებული ის, თუ რამდენათ „რბილი, მშვიდო-

ბიანი და კულტურული“ სახეს ღებულობს კლასობრივი ბრძოლა. მარტო პროლეტარიატი მიაჩნია მას ასეთ მოწინავე სოციალურ ჯგუფათ, თუ ბურჟუაზიაც? ყველა ეს ისეთი კითხვებია, რომლებზედაც პასუხის მიცემა ბ-ნი დარჩიაშვილს არ ძალუძს. კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება გვეუბნება, რომ კლასთა შორის ბრძოლა არის ერთი უსაშინელესი და უსასტიკესი ბრძოლა, და როცა ბ-ნი დარჩიაშვილი გვიმტკიცებს, რომ „პროლეტარიატის საქმე და მისწრაფებანი გახორციელებული სიყვარულია“, და რომ კლასთა ბრძოლის მქადაგებელი მტრობასა და სიძულვილს“ არ უნერგავს მის მოწინააღმდეგე კლასებისადმი არამედ სიყვარულს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. მართალია, ჩვენ ვგვისმის, რომ პროლეტარიატის მისწრაფებაა ძმობის და ერთობის და თანასწორობის განხორციელება, და მაშასადამე ნამდვილი სიყვარულის დამკვიდრება აღამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ ეს მხოლოდ მომავალს ეკუთვნის, როცა საზოგადოების კლასებათ გაყოფა სრულებით მოისპობა, როცა კლასობრივ განხეთქილებას სრულებით ადგილი აღარ ექნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მანამ კი სიყვარულის ქადაგება წყლის ნაყვად და მოცილილ და უნიადაგო მორალისტის ხელობას შეადგენს. განა ვისმეს თვის დასამალავია, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი ბურჟუაზიულ და საზოგადოთ ყველა გაბატონებულ კლასების მიმართ სიყვარულით არ არის გამსჭვალული? და აქიტიმ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი სრულებით ამათ ცდილობს დააშოშმანოს პროლეტარიატის ყველა მოწინააღმდეგე კლასები იმაში, რომ პროლეტარიატი მათი შეურთებელი მტერი არ არის. ნუ თუ ბ-ნი დარჩიაშვილს არ ესმის, რომ ასეთი შეხედულების გავრცელება გალაღებულ-გაბატონებულ კლასების დაცვა და ვეჭილობა არის, რასაც იგი ასე უსაყვედურებს ბატონებს, „შულცე დღეობებს და იმით მიმდევართ. განა საერთაშორისო პროლეტარიატი და კერძოთ საფრანგეთის პროლეტარიატი დაივიწყებდა 1848 და 1871 წლებს, როცა პარიზის ქუჩებზე და შიდაშობებში საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, განურჩევლათ ხნოვანებისა და სქესისა, ათასობით და ათასობით პარიზის პროლეტარიატი გაჟლიტა და მისი სისხლით გაძღა? ან შეიძლება ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ფიქრობს, რომ დღეს ეს აღარ მოხდება, რომ დღეს, თუ პროლეტარიატი მოინდომებს თავისი მიზნის განხორციელებას, ბურჟუაზია მას დაზოგავს? თუ იგი ასე ფიქრობს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას სინამდვილის არა გაგება რა და იგი ოცნების სამკვიდროში დაფრინავს.

ნათქვამიდან აშკარათ სჩანს, თუ როგორი შემცდარი წარმოდგენა აქვს ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილს კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ განხეთქილებაზე. აშკარაა, რომ მისი თვალთა ხედვის ისარი ამ შემთხვევაში არ არის რევოლიუციონური პროლეტარიატის თვალთახედვას ისარი, რომ ბ-ნი დარჩიაშვილის შეხედულება ამ საგანზე საზოგადოთ თავიდან ბოლომდე გაქვლივითილია „ფილისტერული“ და წმინდა „მეშინაური“ 1) აზროვნებით. გადავიდეთ ახლა ეროვნულ ავტონომიაზე.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ ხელ აპყრობილი მიეგება ბ-ნი დარჩიაშვილი ეროვნულ ავტონომიას თავის პირველ წერილში; ხოლო მეორე წერილში იგივე ბ-ნი დარჩიაშვილი, შეუდარებელი გამბედაობით უარს აცხადებს ამავე ავტონომიაზე. ეროვნული ავტონომია მას აქ ქართველი ბურჟუაზიის,

1) ვხვართ ამ უცხო ტერმინებს რადანაც ქართულ ენაზე შეუძლებელია ტერმინი არ არის.

ქართველი თავადაზნაურობის, ქართველი სამღვდლოების და მათი ინტელიგენციის მოთხოვნათ მიანინა, იგი გმობს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას თავისი საკონსტიტუციო თვით მართველობით და საუველურს უცხადებს ყველა იმით, ვინც კავკასიის ყველა ერების პროლეტარიატის მტკიცე კავშირით შეერთებას წინ ედობება. „დღეს—გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი, კავკასიის ყველა ერების შეგნებული პროლეტარიატი უკვე მშურათ შეერთებულია; იგინი, ერთად მუშაობენ, ერთად მოქმედებენ, ერთსა დი იმავე ორგანიზაციებში იმყოფებიან. ბურჟუაზია კი ნაციონალისტური პოლიტიკით ცდილობს შექნას ნიადაგი მათი გათიშვა განცალკევებისა, ცდილობს მათი ძალები დაქსაქსოს, დაასუსტოს; გააბათილოს, და ამის ნებას შეგნებული პროლეტარიატი არ მიცემს, რა თქმა უნდა, არც ერთ ერის ბურჟუაზიას“. ასე ამბობს ბ-ნი დარჩიაშვილი; ის დარჩიაშვილი „რომელმაც რაღაც ერთი თვის წინეთ, სწორეთ ამ ავტონომიისათვის ასეთი ქებათაქება შეასხა ქართველ თავადაზნაურობას, გონებით „ქეშმარიტ“ თავადებს და „ზნეობით“ ქეშმარიტ აზნაურებს. როგორ მოხდა, რომ ერთ და იმავე ავტორს ეროვნული ავტონომია „მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მაინცდამაინც მიანინა და; მთელი ხალხისთვის სასარგებლოთ? როგორ მოხდა, რომ მას კიდევაც წამს საერთო ინტერესები და არც წამს? ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ მას ეროვნულ ავტონომიაზედაც არა აქვს გარკვეული შეხედულება, რომ მას ვერ შეუთვისებია ამ კითხვის შესახებ ის თვალთახედვის ისარი, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ ჟამთ რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერების მებრძოლი, რევოლუციონარული პროლეტარიატი. თუმც ბ-მა დარჩიაშვილმა ბურჟი აქცია ეროვნულ ავტონომიას, მაგრამ მის მაგიერათ მან წამოაყენა კავკასიის ავტონომია; მაგრამ ეროვნულ ავტონომიას საეხებით მიიწი არ გამოთხოვებია რასაც აშკარათ ამტკიცებს მისი წერილი ბოლონეთის შესახებ („ივერია“, № 198). ერთი სიტყვით, იშვიათი იქნება მეორე ისეთი მწერალი, როგორც ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილია, რომელიც ასე არეულათ და დაბნულად წერდეს, რომელიც მასეთი ხან ასე გაიძახიდეს, და ხან ისე. საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ასეთი რყევა, ასეთი მიხლა-მოხლა, წამდაუწუმ თავისი თავის წინააღმდეგობა და მალაყების გადასვლა, მეტი რომ არა ვთქვათ, მეტათ მავნებელი და გასაკიცხია. ჩვენ კიდევ ბევრი მაგალითების ჩვენება შეგვეძლო ბ-ნი დარჩიაშვილის ნაწერებიდან, მაგრამ რაც აღწინაშეთ, ჯერ-ჯერობით ისიც საკმარისია მისი ლიტერატურული მოღვიწეობის დასაფასებლათ და მისი შეხედულების გასაცნობათ. ამით ვათავებთ ჩვენ მასთან კამათს, და ვისურვებთ, რომ ასეთ მოკამათსთან შემდგომი აღარ დაგვიჩრჩეს საქმე.

ფ. მახარაძე.

პარტიის ცნობარეზიუმე.

რ. ს.-დ. მ. პარტიის ბაქოს კომიტეტმა და სარაიონთა შორისო კრებამ, ნოემბერს, დაადგინა:

I. „უმრავლესობის“ და „უმცირესობის“ შეერთების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულა პარტიის ცენტრ. დაწყებულდებაზე.

II. დღეს შესაძლებელია და მიუცილებელი საჭიროებაც არის მხოლოდ შეთანხმება ადგილობრივ პროლეტარიატის საერთო მოქმედებათა გაერთიანების შესახებ.

III. საერთო მოქმედების მოსაწყობათ და იმის ხელმძღვანელობისთვის, ისეთ მოქმედებაში, რომელიც ერთნაირათ

საჭიროთ მიანინა ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციას, ორივე სოც.-დემ ორგანიზაციები შეადგენენ ფედერატულ საბჭოს.

1) ფედერაციური საბჭო არის გადამწყვეტი და ხელმძღვანელი ორგანო შეერთებული სარაიონთაშორისო კრების იმ კითხვების გადაწყვეტაში (საერთო მოქმედების მოწყობა), რომლებსათვის იგი არსდება, თავის მოქმედების შესახებ ფედერაციული საბჭო ანგარიშს აძლევს სარაიონთაშორისო კრებას*).

2) ფედერაციული საბჭო მართავს კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, საყოველთაო გაფიცვებს და სხვა., ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც გამომდინარეობს იმ მიზნისაგან, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია. იგი აგრეთვე აწუხებს მებრძოლ რაზმს და შეიარაღების საქმეს, ანაწილებს სააკტიუტორო ძალებს ორივე ორგანიზაციებისას და ცემს პრაქტიკულ ხასიათის ფურცლებს.

3) ფ. ს. შედეგა ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორ რიცხვისგან, რომელთაც ორნებს შეერთებული სარაიონთაშორისო კრება, რომელიც აგრეთვე შემდგარია ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორი რიცხვისაგან.

4) სარაიონთაშორისო რისო კრება, დაწესებულია იმაში, რომ პარტიის ორ ფრაქციას შორის განხეთქილების მოსაპოვებლათ და მისი გაერთიანებისათვის საჭიროა ნიადაგის მომზადება და ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციების ერთმანერთთან დაახლოვება პრაქტიკულ კითხვების ნიადაგზე, სასურველათ ცნო, რათა რაიონულ და საქარხნო ორგანიზაციებმა გამართონ შეერთებული კრებები პრაქტიკულ კითხვების გამოსარკვევათ.

რადგანაც ამ კრების შემდეგ ორ ფრაქციას შორის სრული შეთანხმება არ მოხდა, ორივე ფრაქციის მუშები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს შეერთებულიყვენ.

ოდესსაში „უმრავლესობის“ და „უმცირესობის“ ორგანიზაციები უკვე შეთანხმდნ და თავისი მოქმედება გააერთიანეს. ფრაქციულ კომიტეტების მაგივრათ იქ უკვე მოქმედებს ორივე ფრაქციისაგან შემდგარი გაერთიანებული კომიტეტი.

კიდევ სომხს ნაციონალისტების შესახებ.

გაზ. „არშალუისი“ ერთი ლიდერთაგანი, ბ. თოფჩიანი, თავის კანში ვერ ეტყვა და თავგამოდებით იცავს „დაშნაკეკლებს“ და საზოგადოთ, ყველა ნაციონალურ პარტიებს.— „ქართველ პუბლიცისტების ერთი უმთავრესი ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ სომხები კავკასიაში უკან ჩამორჩენ ღემოკრატულ მოძრაობას და უმთავრესი ყურადღება ოსმალეთის სომხებს მიქცის. მაგრამ არა, ფაქტები გვეუბნება, რომ სომხები-მუშები ბაქო-ბათუმში მუდამ მებრძოლთ მოწინავე რაზმებში ღდანაო.— დასძენს პარტიკულული ავტორი.— „დაიწყო აგარაიული მოძრაობა გურიაში და აი სომხები-გლეხობა დამნაშავეა. იმაში, რომ მხარი არ მისცა მეზობელს“. არც შეეხება სომხების კითხვას ოსმალეთში, განაგრძობს ბ. თოფჩიანი, კიტყუთ, რომ ქვეყანაზე განთქმულნი სოციალისტები: თორესი, ბებელი, ზინგერი და სხ. დიდი თანაგრძობით უტყვიან ამ კითხვას და მის დამცველ ორგანი-

* კრებაზე „უმცირესობის“ წარმომადგენლებმა ეს მუხლი არ მიიღეს.